ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**ყაჩაღობა ლანჩხუთში — გაიტაცეს 220 ლარი და ოჯახის წევრებს სასტიკად სცემეს** გვ.7




**13 თებერვლიდან**
**ევგენი ჯუღაშვილი**
**პაპაჩემი სტალინი**




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ორშაბათი, 13 თებერვალი, 2017 №36 (7271) ფასი: 50 თეთრი

# თბილისი როკის გვირაბსა და ფსოუს ხსნის?

გვ.4

შეეწირება თუ არა ქვეყნის ინტერესები სომხურ დერეფანს


EPA




## ნაციონალური მოძრაობა პერმანენტულ აქციებს იწყებს



გვ.3

„ეს ხელისუფლება დამთავრებულია“



„პრეზიდენტს აქვს ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისება — ის არ მიდის კომპრომისზე“

გვ.2



## „მარგველაშვილი „ოცნებისთვის“ სერიოზული პრობლემაა“

## ირაკლი სესიაშვილი: „პრეზიდენტი განწყობილია, რომ მოსმენების კანონს ვეტო დაადოს“

გვ.2

„მას ამით პასუხისმგებლობის თავიდან არიდება სურს“



გვ.5

## აფხაზეთის პარლამენტის 35 მანდატისათვის 162 კანდიდატი იბრძვის



ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სოსო ცინცაძე: „მარგველაშვილი „ოცნებისთვის“ სერიოზული პრობლემაა“

## „პრეზიდენტს აქვს ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისება – ის არ მიდის კომპრომისზე“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლება იყოს გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკური მომავალი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ.

***– ბატონო სოსო, პრეზიდენტის პოლიტიკურ მომავალზე მინდა გკითხოთ. მან ერთხელ ამერიკაში თქვა, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ არ აპირებს სახლში წასვლას. რა პოლიტიკური გეგმები შეიძლება ჰქონდეს პრეზიდენტ მარგველაშვილს?***

– პრეზიდენტ მარგველაშვილის სამომავლო გეგმები, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, მით უფრო, მის ახალგაზრდა ასაკში, ფაქტია, რომ პოლიტიკას უკავშირდება. 2018 წელს, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, არა მგონია, გიორგი მარგველაშვილი მშვიდად წავიდეს ბაზალეთზე სახლში და მემუარების წერას შეუდგეს. ცხადია, ვაკვირდები მის ყველა ნაბიჯს და ვხედავ, რომ ეს ნაბიჯები მკვეთრად გაწონასწორებული და, ამავდროულად, პრინციპულია.

***– უმრავლესობა ამბობს, რომ პრეზიდენტმა დღემდე თავი მხოლოდ ვეტოთი გამოიჩინა.***

– ვეტო არის მისი წერტილოვანი დარტყმები.

***– რომელსაც უპრობლემოდ ლახავს უმრავლესობა.***

– დიახ, მაგრამ ამ პროცესს პოლიტიკური დატვირთვა აქვს. კი ამბობს უმრავლესობა, დავძლევთ, გადავლახავთ, ეს არ არის ჩვენთვის პრობლემაო, მაგრამ, მეეჭვება, ის ვეტოს პოლიტიკურ მნიშვნელობას ვერ აცნობიერებდეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც მარგველაშვილმა აქამდე გამოავლინა და უდავოდ ლიდერს ახასიათებს, არის ის, რომ არ მიდის კომპრომისზე. ახლა საკითხი სხვაგვარად დგას – რამდენად გაიღვიძებს მასში პოლიტიკოსი, მებრძოლი პოლიტიკოსი.

***– ჟვანიასთან გაავლებდით პარალელს? რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ჟვანიას ტიპის პოლიტიკოსია?***

– სიტუაციები განსხვავებულია. ჟვანიას არ სჭირდებოდა ბარიკადებზე ასვლა და პარლამენტში შევარდნა. ამისთვის იყო სააკაშვილი. ჟვანია უფრო კულუარული პოლიტიკოსი გახლდათ. სიმართლე გითხრათ, ბევრი მისი პოლიტიკური ფუნქცია არც ვიცით, რა იყო. ეს ჩვენთვის უცნობია. რაც შეეხება მარგველაშვილს, ის უფრო რომანტიკოსი, იდეალისტი და, ამავდროულად, პრინციპების, ღირებულებების ერთგულია, რაც მან არაერთგზის დაადასტურა.



„მარგველაშვილი და უსუფაშვილი ძლიერი ტანდემი იქნება“



***– რას იტყვით მარგველაშვილის გუნდზე, რომელსაც ის ასე აშკარად არჩევს?***

– დიახ, ეს ნამდვილად ჩანს, მაგრამ, მეეჭვება, რომ ეს თანაგუნდელები, შეიძლება, თანამებრძოლები კი იყვნენ, მაგრამ არა – თანამოაზრეები. დიდი განსხვავებაა თანამებრძოლებსა და თანამოაზრეებს შორის. ვინ იფიქრებდა, რომ კუბის რევოლუციის პირველ დღეებში ფიდელ კასტროსა და ჩე გევარას გზები გაიყრებოდა. ისინი იყვნენ თანამებრძოლები, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ თანამოაზრეები არ ყოფილან. კასტროს ერთი კუნძული, თავისი სამშობლო, კუბა აინტერესებდა, ჩე გევარა კი მსოფლიო რევოლუციაზე ოცნებობდა. ამიტომ ვამბობ, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მარგველაშვილი თავისი ინტელექტით, ერუდიციით უფრო ფართო მოაზროვნეა. მისთვის მთავარი ღირებულებებია. მისი გარემოცვა, მხოლოდ ერთის გამოკლებით, ვგულისხმობ ფიქრია ჩიხრაძეს, არა მგონია, ფასეულობებისა და ღირებულებებისთვის ბარიკადებზე ავიდეს.

***– შეიძლება, მარგველაშვილმა პარტია შექმნას?***

– დიახ, შეიძლება. პარტია იქნება თუ მოძრაობა, ამას ასე გადაჭრით ვერ ვიტყვი, მაგრამ, შემიძლია გითხრათ, რომ ჩუმად სახლში წიგნების საწერად არ წავა. ადამიანი, რომელსაც აქვს პრინციპები და მისი წასვლით, შეიძლება, ამ პრინციპებს საფრთხე შეექმნას, უბრალოდ, ჩუმად არ ერიდება სიტუაციას, ასე, შეგუებული არ გადის. დასავლელი ლიდერები იმიტომ მიდიან მშვიდად, რომ მათ იციან ფასეულობები. ღირებულებები რჩება. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო. ტრამპი რას იზამს, არავინ იცის.

***– „ოცნებიდან“ რომელიმე ლიდერი, შეიძლება, მარგველაშვილის გვერდით ვიხილოთ?***

– არა, ამას გამოვრიცხავ, თუმცა მედროვეებს რა დალევს.

***– უსუფაშვილი, ალასანია?***

– მათ ნამდვილად არ გამოვრიცხავ. რაც შეეხება დავით უსუფაშვილს, მას აქვს ის თვისებები, რომლებიც მარგველაშვილს გამოადგება. ვფიქრობ, კარგი ტანდემი იქნება – ორივე ინტელექტუალი, ერუდიტია. ერთს აქვს რეიტინგი, მეორეს – არა, მაგრამ მეორეს აქვს შინაგანი ძალა, რწმენა და პოლიტიკური გამჭრიახობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დიდ პოლიტიკაში. მარგველაშვილი რთული პიროვნებაა „ოცნებისთვის“, არადა, თავის დროზე ივანიშვილმა მარგველაშვილი, როგორც რიგითი მხარდამჭერი, ისე მიიღო, ისევე, როგორც ალასანია, უსუფაშვილი.

***– თქვენ ამბობთ, რომ მარგველაშვილი „ოცნებისთვის“, შესაძლოა, სერიოზული პრობლემა იყოს?***



– დიახ, სერიოზული პრობლემა ნამდვილად იქნება, რადგან ის „ოცნებისთვის“ ძალიან რთული ბუნების ადამიანი აღმოჩნდა. გიორგი მარგველაშვილმა ყველაზე მთავარი ღირებულება გამოავლინა – პრინციპულობა, რომლის დიდი დეფიციტიც არის პოლიტიკოსებში. მარგველაშვილი დღეს საზოგადოების მოაზროვნე ნაწილისთვის უდაბნოში ოაზისია.

***– თუმცა დღეს ხელისუფლება თავდაჯერებულია და არსებულ ვითარებას ასე საგანგაშოდ არ მიიჩნევს.***

– ხელისუფლებისთვის ყველაზე საშიშია, როდესაც ყველა უკმაყოფილო ერთიანდება. სხვათა შორის, რევოლუცია სულაც არ მაქვს მხედველობაში, მშვიდობიან ქუჩის აქციებს ვგულისხმობ. ყველაზე საშიში დღეები წინა ხელისუფლებისთვის იყო მაშინ, როდესაც ქუჩაში 100-200 ათასი ადამიანი გამოვიდა სრულიად მშვიდობიანად, ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე, მაგრამ თვითმარქვია ლიდერებმა ფული აიღეს და ეს ხალხი დაშალეს. მაშინ ხელისუფლებამ პოლიტტექნოლოგიის ყველა ნორმის გათვალისწინებით თავისთვის სწორი გადაწყვეტილება მიიღო, სისხლისღვრასა და ცემა-ტყეპას ამჯობინა, რამდენიმე ადამიანისთვის ფული მიეცა და ამით დაემთავრებინა ყველაფერი. მაშინ ის იყო მოუმზადებელი, სპონტანური, გეგმის გარეშე და შემთხვევითი ლიდერების კრახი.

***– დღეს რას უწოდებდით ხელისუფლების ჭკვიანურ ნაბიჯს?***

– გაგიკვირდებათ და მაინც იმას, რომ ხელისუფლება ზრუნავს ყოფილი დეპუტატების დასაქმებაზე. ეს არის პოლიტტექნოლოგიურად სწორი გადაწყვეტილება, რათა უკმაყოფილო არ დარჩეს მისი ყოფილი თანაგუნდელი, რომ არ ჰქონდეს მეორეს განცდა, მეც მომისვრიანო, მაგრამ, ამის პარალელურად, ხელისუფლებამ სხვა ბევრი ჭკვიანური ნაბიჯი უნდა გადადგას – ყოფილი მხარდამჭერის დასაქმების პარალელურად, მისი ნეიტრალურად განწყობილი მოქალაქეები სამსახურიდან არ უნდა გაათავისუფლოს.

# ირაკლი სესიაშვილი: „პრეზიდენტი განწყობილია, რომ მოსმენების კანონს ვეტო დაადოს“

## „მას ამით პასუხისმგებლობის თავიდან არიდება სურს“

ნონა ცაბაძე

მოსმენების კანონპროექტის შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი პასუხობს.

***– ბატონო ირაკლი, გასული კვირა საკმაოდ ხმაურიანი იყო პარლამენტში. მოსმენების კანონმა ვერ მოიგო სამოქალაქო საზოგადოების, ოპოზიციისა და პრეზიდენტის გული. ბევრი საკითხი ჯერ კიდევ სადავო რჩება, თუმცა უმრავლესობა პოზიციებს ჯიუტად არ თმობს. მიიღებთ მორიგ ვეტოს პრეზიდენტისგან?***

– მრჩება შთაბეჭდილება, რომ რა სახის კანონპროექტიც არ უნდა მოგვემზადებინა, ოპოზიცია, სამოქალაქო სექტორი და, ვფიქრობ, პრეზიდენტიც, განწყობილი იყო იმისთვის, რომ ყოფილიყო კრიტიკული. ეს თავიდანვე ჩანდა.

***– ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ამ კანონის შინაარსია, ყველას გვისმინონ. ასეა?***

– შინაარსი არის ქვეყნის უსაფრთხოება და სამოქალაქო უფლებებისა და ინტერესების დაცვა, მათ შორის საუკეთესო ოქროს შუალედის პოვნა. ყველამ იცის, რომ პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას და აქ იდეალური მოდელის შექმნა წარმოუდგენელია! ჩვენ საზოგადოებას შევთავაზეთ ის მოდელი, რომელიც, პირველ რიგში, მოითხოვა საკონსტიტუციო სასამართლომ, რომლის გადაწყვეტილებაც იყო აბსოლუტურად არაკვალიფიციური და ეს შესაძლოა პოლიტიკურად დაინტერესებული გადაწყვეტილება იყო! სისტემა გაცილებით უკეთესია სამოქალაქო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, ვიდრე აქამდე იყო.

***– მაშინ რატომ არის სამოქალაქო სექტორი ასე კრიტიკულად განწყობილი?***

– სამოქალაქო სექტორი ამ თემას განიხილავს პოლიტიკურ კონტექსტში და მისთვის ეს პოლიტიკური ინტერესების მატარებელია, წაკითხულიც კი არ ჰქონდათ პროექტი და ისე აპროტესტებდნენ! ნაციონალურ მოძრაობას კი სურს, რომ საზოგადოებაში შექმნას იმის შთაბეჭდილება, რომ ყველას გვისმენდნენ და ახლაც გვისმენენ.

ისინი ცდილობენ საზოგადოება დააჯერონ, რომ თუ წინა ხელისუფლება ცუდი იყო, ესენიც ცუდები არიან! და მეტიც, ოპოზიციას, რომელსაც აქვს პოლიტიკური წარუმატებლობა, უნდა, რომ ეს წარუმატებლობები ახსნან არა იმით, რომ მათ ვერ ივარგეს, არამედ ეს ყველაფერი დააბრალონ ხელისუფლებას, განსაკუთრებით უშიშროების სამსახურებს, რომ აი გვისმენენ და ამის გამო ვერ გავიმარჯვეთ არჩევნებში.

***– პრეზიდენტის პოზიციაზე რას იტყვით? მასაც სერიოზული შენიშვნები აქვს.***

– ამ პოლიტიკურ მოცემულობაში ჩანს პრეზიდენტიც, რომელიც უფრო მეტად ცდილობს არ მიეკუთვნოს ოპოზიციას და ნაციონალურ მოძრაობას და უფრო მეტად დაახლოებული იყოს არასამთავრობო ორგანიზაციის აზროვნებასა და პოზიციებს, რათა პასუხისმგებლობას თავი აარიდოს.

***– რატომ არ წავიდა უმრავლესობა პრეზიდენტთან კონსულტაციებზე? ელოდებით, რომ მისგან ისევ ვეტოს მიიღებთ?***

– რომ არ დაადოს პრეზიდენტმა ვეტო, მან უნდა გაიზიაროს პასუხისმგებლობა, პრეზიდენტს კი არ აწყობს ეს! პოლიტიკურად არ აწყობს! ამიტომ იყენებს ვეტოს და არა იმიტომ, რომ კანონპროექტი ცუდია! პირიქით, კანონპროექტი პროგრესულია, მაგრამ პასუხისმგებლობას გაურბის პრეზიდენტი. არ სურს, რომ მერე ვიღაცამ წამოაძახოს, რომ იცი რა, შენ ვეტოს უფლება არ



გამოიყენე! აი, ამ თამაშთან გვაქვს საქმე და არა იმასთან, რომ ეს უკეთესი მოდელი არ არის.

***– მესამე სექტორი ამბობს, რომ ირღვევა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ვიღებთ მონსტრს, რომლის მიზანია, გააკონტროლოს ნებისმიერი მოქალაქე. ეს შეფა-***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნაციონალური მოძრაობა პერმანენტულ აქციებს იწყებს

შორენა მარსაგიშვილი

რას ელოდებიან ნაციონალები საპროტესტო აქციებიდან, სად არის ნამდვილი ოპოზიცია, რისთვის უნდა მოიხადონ ბოდიში „ევროპული საქართველოს“ წევრებმა, რა ბედი ელის „ქართულ ოცნებას“? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ესაუბრება.




**მეგი გოცირიძე:**

– ნაციონალურმა მოძრაობამ 7 პარტიასთან ერთად შევქმენით საკოორდინაციო საბჭო. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება დაცული იყოს. არც რუს ოლიგარქსა და არც მის „ოცნებას“ არ გამოუვათ თავისუფალი სიტყვის ჩახშობა. პირველი აქცია გაიმართა 10 თებერვალს. ახლა აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.

***– თქვენ ამბობთ, რომ თავისუფალი სიტყვის დაცვას აპირებთ. „ქართული ოცნების“ წევრების თქმით, განცხადება, რომ ნაციონალური მოძრაობა თავისუფალი სიტყვის დაცვას აპირებს, ერთგვარი ანეკდოტია. ამაზე რას იტყვით?***

– ანეკდოტი ის არის, რომ „ქართული ოცნებაა“ დღეს ქვეყნის სათავეში. ქვეყანა რა დღეშიც არის, ეს ყველამ საკუთარ ტყავზე გამოცადა. ხალხი უკვე დასცინის ხელისუფლებას და ბინძურ მორევში აგორავებს. გადახედეთ სოციალურ ქსელებს და ნახავთ, რაც ხდება. წამლად რომ ეძებოთ, ერთ ქოცს ვეღარ იპოვით, რომელიც ამათ სისულელეებს გაამართლებს.

რაც არ უნდა ილაპარაკონ და დაგვაბრალონ, თავისუფალი სიტყვის დასაცავად მაინც გამოვალთ ქუჩაში. ამის გარდა, დავიცავთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ რეჟიმმა ულუკმაპუროდ დატოვა, გააუქმა სოციალურად დაუცველის სტატუსი და იმ ფულით, რომელიც მათთვის უნდა დაერიგებინათ, საკუთარ ფუფუნებას იწყობს.

კითხვა ანეკდოტს ეხებოდა და „ოცნებას“ ვურჩევ, მიხედოს საკუთარ ანეკდოტებს. მაგათ, ეტყობა, დაავიწყდათ და ნება მომეცით, შევახსენო, რომ 2012 წელს დამარცხებულმა სააკაშვილმა იმაზე მეტი ხმა აიღო, ვიდრე გამარჯვებულმა „ოცნებამ“ 2016 წელს. ნახევარმა საქართველომ საერთოდ ფეხებზე დაიკიდა ეს პარტია და არჩევნებზე არ მოსულა.

***– თქვენ 2012 წლის არჩევნების შედეგები ახსენეთ. არაერთხელ თქმულა, არჩევნები რომ არ გაგეყალბებინათ, ამ ხმების ნახევარსაც ვერ აიღებდით.***

– არჩევნები ახლა რომ გაყალბდა, ასე არასდროს გაყალბებულა. 150.000 ბიულეტენი გააყალბეს. საარჩევნო უბნებზე რომან კუსიანის გეგმით იმოქმედეს და, როცა ამანაც ვერ გაჭრა, ადგნენ და, უბრალოდ, გადახაზეს ის ბიულეტენები, სადაც ნაციონალური მოძრაობა იყო შემოხაზული.

ეს გაყალბება „ოცნებამ“ ზოგიერთის მუხანათობით კარგად შეირგო, მაგრამ თავისუფალ სიტყვასთან ბრძოლას გადავაყოლებთ. რუსთავი 2-ის დასაცავად ძალიან ბევრი ადამიანი გამოვა ქუჩაში, მათ შორის ისეთებიც, ვისაც, შესაძლოა, ეს ტელევიზია არ მოსწონს, მაგრამ აცნობიერებენ, რომ რუსთავი 2 უნდა დარჩეს ხალხის სამსახურში.

***– ის ხალხი გამოვა ქუჩაში, რომელმაც 8 ოქტომბერს მხარი ნაციონალურ მოძრაობას დაუჭირა? ამ არჩევნების შემდეგ თქვენ გამოგეყოთ ლიდერების ნაწილი და მათ ახალი პარტია შექმნეს. ეს ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერებში დაბნეულობას ხომ არ გამოიწვევს?***

– არა მგონია, ხალხი დაიბნეს. ყველა ძალიან კარგად მიხვდა, საითაც არის „ევროპული საქართველო“. იმის ნაცვლად, რომ თავისუფალი სიტყვის დასაცავად გამოვიდნენ ქუჩაში, დადგნენ და ბოდიშებს იხდიან. თავად რაც უნდათ, ის გააკეთონ, მაგრამ ჩვენი სახელით ბოდიშების მოხდას თავი დაანებონ.

ელენე ხოშტარიამ საზოგადოებას საკუთარი სახელით მოუხადოს ბოდიში. ბოკერიამ იმაზე მოიხადოს ბოდიში, რომ ცოცხების საქმე დამალა.

***– რას ნიშნავს, ცოცხების საქმე დამალა?***

– იმას, რომ ცოცხების საქმე დამალა და „ქართულ ოცნებასთან“ ითანამშრომლა. ბოდიში აქვს მოსახდელი გიგი უგულავას, ნახევარი თბილისი რომ გადაგვკიდა. ბოდიში ირმა ნადირაშვილმაც უნდა მოიხადოს, ჟურნალისტებს რომ გადაგვკიდა. ყველა მათგანმა კი გაყალბებული არჩევნების „გაპრავებისთვის“ უნდა მოიხადოს ბოდიში.

***– სააკაშვილს არაფერზე აქვს ბოდიში მოსახდელი?***

– როგორ არა. მან აუცილებლად უნდა მოიხადოს ბოდიში იმის გამო, რომ ჟვანიას სიკვდილის საიდუმლო შეინახა. მას კიდევ იმის გამო აქვს ბოდიში მოსახდელი, პარტიაში ჟვანიას გუნდის დისკრედიტებულ წევრებს რომ იტანდა და ამის გამო ნაციონალურ მოძრაობას რეიტინგი დააკარგვინა. ჟვანიას საქმე ქოცებმა დახურეს და ამ თემაზე, უმჯობესია, ლაპარაკს თავი დაანებონ.

***– ტელეიმედის დარბევაზე სააკაშვილს ბოდიში არ აქვს მოსახდელი? იმ დღეს, როცა თქვენ ქუჩაში რუსთავი 2-ის დასაცავად გამოხვედით, „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში გამოფინა პლაკატი, სადაც იმედის დარბევის კადრები იყო გამოსახული.***

– ამაზე სააკაშვილს განმარტებები უკვე გაკეთებული აქვს და აქ არანაირი ბოდიში არ არის მოსახდელი. „ევროპული საქართველოს“ წევრები გამოვიდნენ და ამომრჩევლის მოტყუებისთვისაც მოიხადონ ბოდიში. მანდატების ქურდებმა აგვიხსნან, რატომ არ გაემიჯნნენ მიშას არჩევნებამდე.

***– მოდით, ისევ აქციებს დავუბრუნდეთ. თავისუფალი სიტყვის დასაცავად 8 პარტიამ შექმენით საკოორდინაციო საბჭო. გაქვთ იმის იმედი, რომ სხვა ოპოზიციური პარტიებიც შემოგიერთდებიან?***

– რისი ან ვისი იმედი უნდა გვქონდეს, როცა საქართველოში ოპოზიცია, როგორც ასეთი, არ არსებობს. ოპოზიცია ვინც იყო, ყველა ამ საკოორდინაციო საბჭოშია გაწევრიანებული.

***– სხვა პარტიებს ოპოზიციად არ თვლით?***

– ვინ ჩავთვალო ოპოზიციად, ინაშვილი და პატრიოტთა ალიანსი? ეგენი ივანიშვილმა შეიყვანა პარლამენტში და იქ საკუთარ ოპოზიციად გააფორმა. ან იქნებ ირაკლი ალასანიას პარტიაა ოპოზიცია? მისი პარტიის თითქმის ყველა ლიდერი სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმდა.



***– სახელმწიფო სტრუქტურებში ის ხალხი დაასაქმეს, რომლებმაც პარტია დატოვეს.***

– ეს არ ცვლის ვითარებას. ალასანიას პარტია ოპოზიცია არ არის. იქნებ თინა ხიდაშელია ოპოზიცია ან მისი ქმარი, უსუფაშვილი? ამ ცოლ-ქმრის კისერზეა 9 თვის ბარბარე რაფალიანცის სისხლი.

***– მათ კისერზე რატომ არის? ისინი ყველაზე ნაკლებად საუბრობდნენ ამ თემაზე.***

– მათ კისერზე იმიტომ არის, რომ ეს საქმე გამოძიებული არ არის. მაინტერესებს, რას ფიქრობენ ასობით ქუჩაში ჩახოცილ ადამიანზე? მათ არცერთი უკანონობა არ გაუპროტესტებიათ, შესაბამისად, ოპოზიციად მათ არავინ ჩათვლის. ოპოზიცია ვართ ჩვენ და ჩვენ მოვაწყობთ აქციებს. აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ რეჟიმი არ დასრულდება.

***– აქციების გამართვისთვის ხალხია საჭირო. გაქვთ ეს რესურსი?***

– რას ჰქვია, გვაქვს თუ არა რესურსი? რა თქმა უნდა, გვაქვს! 2016 წელს იმაზე მეტმა ადამიანმა დაუჭირა მიშა სააკაშვილს მხარი, ვიდრე 2012 წელს – „ქართულ ოცნებას“. ამაზე მეტი რესურსი რაღად გინდათ. ეს ხალხი ჩვენთან ერთად გამოვა.

***– არის ქვეყანაში საკმარისი საპროტესტო მუხტი?***

– მუხტის აწევა პრობლემა არ არის, თანაც – ამ ვითარებაში. როცა შევარდნაძემ არჩევნები გაგვიყალბა, პროტესტის გამოსახატავად ქუჩაში სულ რამდენიმე ათეული ადამიანი გამოვედით. აქცია, რომელიც ვარდების რევოლუციით დასრულდა, სულ რაღაც 100-მა კაცმა დავიწყეთ.

***– მაშინ სულ სხვა სიტუაცია იყო.***

– ახლა იმაზე ბევრად უარესი სიტუაციაა. კოლაბორაციონისტი ხელისუფლება ოკუპანტ ქვეყანას გადასცემს იმ სამხედროების პირად მონაცემებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდნენ. ხალხი მშიერია და გაუბედურებული. მუხტი კი არა, ეს ხელისუფლება დამთავრებულია.

ახლა ის არის გასარკვევი, როგორ მოხდება ამის გაფორმება. ეს რომ ასეა, ამას შუაშისტები აღიარებენ. ამიტომაც უნდათ რუსთავი 2-ის წაღება, რომ სიმართლე არავინ გაიგოს. ძალიან დააგვიანდათ, ხალხმა სიმართლე იცის. ხელისუფლებამ კი იცოდეს, რომ სიტყვის თავისუფლებაზე შეტევა მისთვის კრახით დასრულდება.

# ირაკლი სესიაშვილი: „პრეზიდენტი განწყობილია, რომ მოსმენების კანონს ვეტო დაადოს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***სება ეკა გიგაურმა გააკეთა. რით უპასუხებთ ამ ბრალდებებს?***

– თუ ვინმე შინაარსში შემოვა ჩემთან დისკუსიაში, ვერანაირად ვერ გაამართლებს ამ არგუმენტებს. რას ჰქვია, მონსტრს ვიღებთ?! მაგალითად, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელმა თქვა, რომ ყველაფერს აკონტროლებთო, ვიდეოთვალი, ტელეფონი, ადგილმდებარეობა და ასე შემდეგო.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ოპერატიულ-ტექნიკური სამსახური საერთოდ არ იყო საჭირო. მაშინ არც ტელეფონი იყო და არც ინტერნეტი და არც კამერები არსებობდა. ათი წლის შემდეგ ჩვენ ბლუთუზი რომ ისე განვავითაროთ, რომ მისით დარეკვა იყოს შესაძლებელი, საჭირო გახდება იმ ტექნიკური საშუალების შემოტანა, რომელიც ბლუთუზზე კონტროლს განახორციელებს.

***– რატომ ჰგონია ისევ საზოგადოებას, რომ მათი საუბრები ისმინება და რომ მოსმენები გაათმაგდა, რატომ ვერ შეძელით მოსახლეობაში ნდობის მოპოვება?***

– ამას ხელს უწყობს პოლიტიკური გარემო, იმიტომ, რომ ნაციონალურ მოძრაობას უნდა, რომ წინა ხელისუფლების ცუდი ქმედებები გააიგივოს დღევანდელ ჩვენს ქმედებებთან. ამას ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ერთგვარი ინტერესი, რომ არსებობდეს აქტუალური თემა, სადაც სამოქალაქო საზოგადოება კრიტიკული იქნება. ამას ხელს უწყობს სხვა გარემოებები, რომლებიც მიმართულია უშიშროების სამსახურების საქმიანობის წინააღმდეგ.

სააკაშვილი რომ მოვიდა ხელისუფლებაში, მან რამდენიმე ათასით გაზარდა ერთდროულად მოსმენის რაოდენობა. მერე 2010 წელს შეიძინა ახალი ტექნიკური საშუალება, რომლის საშუალებით რამდენიმე ათი ათასით გაზარდა ასეთი შესაძლებლობა. როცა მოვედით ხელისუფლებაში, ეს სისტემა დატვირთული იყო 100%-ით. მართლა ყველას გვისმენდნენ!

***– დღეს რა ხდება, ასე 100%-ით დატვირთული დარჩა ეს სისტემა?***

– დღეს ჩვენ ამ ტექნიკური შესაძლებლობის მხოლოდ რამდენიმე ერთეულ პროცენტს ვიყენებთ. ვიყენებთ იმიტომ, რომ ეს ფარული საგამოძიებო მოსმენების საშუალება მიზანმიმართულია მხოლოდ კრიმინალის წინააღმდეგ და კონტრდაზვერვითი საქმიანობისთვის. როცა ჩვენ შემოგვაქვს სხვა ტიპის კონტროლები, აქ პირდაპირ გამოჩნდება და დამტკიცდება, რომ უსაფუძვლოდ, უკანონოდ არავის უსმენენ. ამის კი ეშინიათ ჩვენს ოპონენტებს.

***– რისი ეშინიათ?***

– იმის ეშინიათ, რომ სალაპარაკო აღარ ექნებათ! ამიტომ ურჩევნიათ, რომ საზოგადოებაში შექმნან ისეთი ილუზია, რომ, არიქა, დავიღუპეთ და ყველას გვისმენენ.

***– ისევ სუსის ხელში რჩება გასაღები.***

– არასამთავრობო სექტორი გვთავაზობს ისეთ მოდელს, რომ ეს ტექნიკური საშუალება ან ახალგაზრდა იურისტების, ან საერთაშორისო გამჭვირვალობის ოფისში დავამონტაჟოთ! ნაციონალებს კი უნდათ, რომ მათ ოფისში იდგეს ეს აპარატურა.

როგორ მოვიქცეთ?! პირველ რიგში, საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ ეს არის ტექნიკური შესაძლებლობა, მოახდინოს დროული რეაგირება და პრევენცია დანაშაულზე. დავიცვათ ქვეყანა ტერორიზმისგან, კრიმინალისგან, გადავარჩინოთ ადამიანები!

***– რამდენჯერაც არ უნდა მიიღოთ კანონი, პრეზიდენტს უფლება აქვს, ერთსა და იმავე კანონზე ვეტოს უფლება გამოიყენოს. 2014 წელს მან მოსმენების კანონს ვეტო უკვე დაადო.***

– გაგახსენებთ, ვეტოს უფლება როგორ გამოიყენა პრეზიდენტმა. წინა მოწვევის პარლამენტში, როცა ჩვენ ამ პროექტს ვიხილავდით, თანაავტორი გახლდით. მაშინ პრეზიდენტი შეხვდა არასამთავრობო სექტორს და შეხვდა ნაციონალურ მოძრაობას, ამ კანონპროექტის ავტორებს კი არ შეხვდა!

***– ამიტომ სამაგიერო გადაუხადეთ და თქვენც აღარ მიხვედით მასთან?***

– არა, როგორ გეკადრებათ! ჩვენ გაბრაზებული არ ვართ. მაშინ ვეტოს უფლება რომ გამოიყენა პრეზიდენტმა, მე ვთქვი საჯაროდ, რომ ჩვენთვისაც ეკითხა, იმიტომ, რომ ამ ყველაფრის უკან საერთაშორისო ინტერესები დგას. ჩვენი მიზანია, ტერორიზმს ერთად ვებრძოლოთ, სისტემები გვქონდეს მეტ-ნაკლებად თანხვედრაში და პრეზიდენტს ჩვენთვის არც კი უკითხავს, ჩვენი არგუმენტები რა იყო. დღეს, ფაქტობრივად, იმავე მიდგომებთან გვაქვს საქმე. პრეზიდენტი თავიდანვე განწყობილია, რომ ვეტო დაადოს და ვიმეორებ – იმიტომ, რომ პასუხისმგებლობა არ გაიზიაროს!

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თბილისი როკის გვირაბსა და ფსოუს ხსნის?

## შეეწირება თუ არა ქვეყნის ინტერესები სომხურ დერეფანს

შორენა მარსაგიშვილი

**გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ ითქვა, რომ მომდევნო, რასაც რუსეთი მოითხოვდა, აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა იქნებოდა.**

**ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ ამას უკავშირდება ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა. ეს კანონი საქართველომ აგვისტოს ომის შემდეგ მიიღო.**

**აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლაზე ჯერ არაფერი თქმულა, სამაგიეროდ, როკის გვირაბისა და ფსოუს გავლით ტვირთების გავლაზე დაიწყო აქტიური საუბარი.**





ეს საკითხი გასულ წელს სომხეთის მთავრობამ დააყენა. სომხეთის ტრანსპორტის მინისტრმა როკის გვირაბის გახსნა და სომხებისთვის ამ გზის დათმობა მაშინ მოითხოვა, როცა დარიალის ხეობაში ჩამოწოლილმა მეწყერმა ავტომაგისტრალი რამდენიმე დღით გადაკეტა.

ოფიციალურ თბილისს ამაზე ოფიციალური პასუხი არ გაუცია. ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, არც ჰო უთქვამთ და არც არა. ერევანმა ეს დუმილი თანხმობად ჩათვალა და, შესაძლოა, არც შემცდარა.

გასულ კვირას პრაღაში ერთმანეთს შეხვდნენ ზურაბ აბაშიძე და გრიგორი კარასინი.

ზურაბ აბაშიძემ დაადასტურა, რომ ჯერ კიდევ გასულ წელს ქართულმა მხარემ დაასრულა მუშაობა „საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ" 2011 წლის შეთანხმებით გათვალისწინებულ დოკუმენტებზე და ამჟამად ქართული მხარე ელოდება რუსეთის მზაობას შეთანხმების იმპლემენტაციის ეტაპზე გადასასვლელად.

გრიგორი კარასინის განცხადებით, რუსეთის მხარე, შვეიცარიელ კოლეგებთან ერთად, შეეცდება, დააჩქაროს ამ შეთანხმებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე მუშაობა.

ეს ყველაფერი კი როკისა და ფსოუს გავლით ტვირთების გატარებას გულისხმობს. ამ ინფორმაციას დიდი იმედით შეხვდნენ სომხეთში.

სომხური მედია იმედოვნებს, რომ მოსკოვი და თბილისი საბოლოო შეთანხმებას მიაღწევენ. ეს, თავის მხრივ, მხარეებს საშუალებას აძლევს, ივაჭრონ და სატრანსპორტო კომუნიკაციები განავითარონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების გავლით და, იმავდროულად, არ შეეხონ საქართველოს ყოფილი ავტონომიების სტატუსის პრობლემას.

– მხარეები საერთაშორისო შუამავლებს მოიწვევენ ტვირთების ნაკადის გაკონტროლებისა და მარკირების მიზნით. ასეთი სისტემა თბილისსა და მოსკოვს საშუალებას მისცემს, თავიდან აიცილონ ის უხერხული სიტუაცია, რომელიც საზღვარზე ტვირთების საბაჟო გაფორმებას თან ახლავს, იმავდროულად, შესაძლებელი იქნება სამხრეთ ოსეთზე გამავალი ავტომაგისტრალით სარგებლობა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სომხეთისთვის, – ვკითხულობთ სომხურ მედიაში.

გამოცემა „ლრაგირი" კი იმაზე მკითხაობს, ამ შემთხვევაში რომელმა დაიხია უკან, საქართველომ თუ რუსეთმა. ერევანში არც იმას გამორიცხავენ, რომ მხარეებმა რაღაც მექანიზმი მოიგონეს. ამ თემის გააქტიურებას ისინი კარენ კარაპეტიანის მოსკოვში ვიზიტს უკავშირებენ.

– ნიშანდობლივია, რომ საქართველომ და რუსეთმა ამ მიმართულებით მოლაპარაკების ინტენსიფიცირება სომხეთის ახალი მთავრობის დამტკიცების შემდეგ დაიწყეს. ჩვენი პრემიერ-მინისტრი კარენ კარაპეტიანი წავიდა მოსკოვში, შეხვდა სომხური წარმოშობის ბიზნესმენებს და მათ მოუწოდა, სომხეთში ინვესტიციები დაებანდებინათ. უფრო მეტიც – ჩამოყალიბდა სომხურ-რუსული საინვესტიციო ფონდი, რომლის მიზანი ორი ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრირებისადმი ხელშეწყობაა. მაგრამ, როგორ შეიძლება სომხეთ-რუსეთის ინტეგრირება, როცა მათ მხოლოდ ვიწრო და ხშირად დახურული საქართველოს სამხედრო გზა აკავშირებთ?

როგორც ჩანს, სომხეთის ახალმა მთავრობამ რუსეთის ხელმძღვანელებს მიანიშნა, რომ ალტერნატიული გზების „გამონახვის" გარეშე ინტეგრაცია არ მოხდება. და თუ არ მოხდება, მაშინ სომხეთმა სხვა რესურსები უნდა ეძებოს.

შესაბამისად, არ არის გამორიცხული, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ რუსეთმა გადაწყვიტა, „სავაჭრო დერეფნების" შეთანხმების ამოქმედება დაეჩქარებინა, ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, არ იქნება „სავაჭრო დერეფანი", არ იქნება ინტეგრაციაც, – ვკითხულობთ სომხურ გამოცემაში.

თბილისში ცდილობენ, ამ თემაზე საუბარს თავი აარიდონ. სამაგიეროდ, ცხინვალში ატყდა ერთი ამბავი. მათმა საგარეო უწყებამ საგანგებო განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ მათი ნებართვის გარეშე საქართველო და რუსეთი სატრანზიტო დერეფნის გახსნაზე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ.

ცხინვალში რისკებზეც საუბრობენ და ამბობენ, რომ ეს დერეფანი მათ უსაფრთხოებასა და ეკოლოგიას საფრთხეს შეუქმნის.




# კახა კუკავა: „ქვეყანაში გარდაუვალია მასობრივი პროტესტი, რომელიც ხელისუფლებას წალეკავს"

ნონა ცაბაძე

პოლიტიკურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ არხზე მიმდინარე მოვლენების შესახებ „ახალი თაობა" „თავისუფალი საქართველოს" ლიდერ კახა კუკავას ესაუბრა.






„საზოგადოებრივ მაუწყებელზე კვლავაც კორუფცია ყვავის"

**კახა კუკავა:**

– ეს არის ივანიშვილის კორუმპირებული რეჟიმის სრული გამოვლინება. დღეს აქ ყველა უარყოფითმა მხარემ მოიყარა თავი: უნიჭობამ, კორუფციამ, ნეპოტიზმმა და ავტორიტარიზმმა. აი, ასეთი ოთხკუთხედი შეიკრა დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

***– რატომ უნიჭობამ? მაღლაფერიძის ნიჭს იწუნებთ? ყველა ამბობს, რომ ის თავისი საქმის კარგი მცოდნეა. ასე არ არის?***

– ვინც მაღლაფერიძესა და ანთაძეს ჟურნალისტობას დააბრალებს, იმას მიეცა ჩვენი ქართველი ერის ცოდვა! ივანიშვილმა მისცა 100 მილიონი, გადაიღეს 2 ბლოგბასტერი, მოაწყვეს მეგაშოუ. მაგათ ტელევიზიაში, ჯიდიესში, ერთხელ ვარ ნამყოფი და კოსმოსური ხომალდისა და წყალქვეშა გემის ნაზავი გეგონებათ. ათეულობით მილიონი ლარი იყო ჩაყრილი და ყველაზე რეიტინგული არხების ხუთეულში ვერ შეიყვანეს!

როგორ შეიძლება, მაღლაფერიძემ და ია ანთაძემ ილაპარაკონ სხვის პროფესიონალიზმსა და რეიტინგებზე, როდესაც ია ანთაძის გადაცემას ერთი მაყურებელი ჰყავდა და ეს იყო მაღლაფერიძე. ნეპოტიზმი ხომ ყვაოდა, ახლა საზოგადოებრივ მაუწყებელზეც ააყვავეს.

***– ნეპოტიზმი რაში მდგომარეობს? მაღლაფერიძე ივანიშვილის ნათესავია?***

– ივანიშვილმა პირველი არხის ხელმძღვანელად დანიშნა ადამიანი, რომელიც მისი ოჯახური ბიზნესის მენეჯერია! ვასიკო მაღლაფერიძე იყო ბიძინა ივანიშვილის კერძო საკუთრებაში მყოფი კომპანიის პროდიუსერი. ქვეყანაში ყველა საკვანძო თანამდებობას ქართუს მენეჯერები და ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაში მყოფი კომპანიების ხელმძღვანელები იკავებენ.

ყველაზე დიდი უბედურება, რომელიც ამ სქემაში გვხვდება, არის კორუფცია, რადგან 40 მილიონი პირველი არხისთვის არის აბსოლუტურად უზნეო გადაწყვეტილება! 40 მილიონი ბევრად მეტია, ვიდრე გორის, თელავის, ახალციხისა და ფოთის ბიუჯეტი, ერთად აღებული! ამ ბიუჯეტიდან გამომდინარე, ვასიკო მაღლაფერიძე ნახევარი საქართველოს გუბერნატორი გამოდის.

ჩვენ გვჭირდება საზოგადოებრივი არხი, რომელსაც ექნება მკაფიო ფუნქციები და მკაფიო ბიუჯეტი.

***– საზოგადოებრივ მაუწყებელს არასოდეს ჰქონია მკაფიო ფუნქციები და სერიოზული თანხებია გაფლანგული, გვესმის შეფასებები ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან.***

– როდესაც ეს ხელისუფლება ლაპარაკობს ხელისუფლებაში მოსვლიდან მეხუთე წელს, რომ თანხები არის გაფლანგული და ბორდის წევრებიდან ყველა თავის თანამდებობაზე რჩება, მაშინ ეს ნიშნავს, რომ კორუფციას ხელს აფარებ!

2012 წლიდან მოყოლებული, წელიწადში 40 მილიონი, ხუთ წელიწადში 200 მილიონია გაფლანგული და ისინი თანამდებობაზე რჩებიან! ეს ხომ იმის დადასტურებაა, რომ ამ არხზე კვლავაც კორუფცია ყვავის?! ხოლო ამ კორუფციის მფარველი „ქართული ოცნებაა"! დღეს საქართველოში ისეა შეზღუდული სიტყვის თავისუფლება, როგორც არასდროს!

***– სააკაშვილის პერიოდი დაგავიწყდათ?***

– არცერთი ხელისუფლების პერიოდში არ ყოფილა ის სიტუაცია, როგორიც დღეს არის. საქართველოში ყოველთვის არსებობდა ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი რამდენიმე ცენტრალური და ათეულობით რეგიონული არხი. დღეს საქართველოში რჩება ერთადერთი ცენტრალური არხი, რომელიც ამ ხელისუფლებისგან არ არის მართვადი და ეს არის რუსთავი 2, ხოლო ამ საქმის სასამართლოს შემდეგ საქართველოში არ დარჩება არცერთი ტელეარხი, რომელიც არ იქნება ამ ხელისუფლების მიერ მართვადი.

ეს არ ხდებოდა არასდროს! სააკაშვილის რეჟიმის პირობებშიც კი, შევარდნაძისა და მხედრიონის მმართველობის პერიოდშიც კი ყოველთვის იყო 2-3 არხი, რომელიც ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ სარედაქციო პოლიტიკას ატარებდა. თუ ასე გააგრძელა, ივანიშვილის ხელისუფლება ძალიან ცუდად დაამთავრებს!

***– თუმცა ექსპერტები სულ ამბობენ, რომ საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი არ იგრძნობა, ოპოზიცია დაქუცმაცებულია. ხედავთ ძალას, რომელიც ამ ხელისუფლებას დაამთავრებს?***

– დღევანდელი სიტუაცია მახსენებს 2007 წლის გაზაფხულ-ზაფხულს. ასე პატარ-პატარა აქციებით დაიწყო მაშინაც. იმ დროს მე ვიყავი პარლამენტის ბიუროს წევრი და როცა ვეუბნებოდი ბურჯანაძესა და ბოკერიას, რომ ქვეყანა კრიზისისკენ მიდიოდა, ბოკერია სიცილით მეუბნებოდა, ილუზიები გაქვს, რადგან ამ აქციებზე 200-ზე მეტი ადამიანი არ გამოდისო, თუმცა მოგვიანებით ეს 200 კაცი 200.000 კაცად გადაიქცა.

***– ანუ საპროტესტო ტალღა გარდაუვალია?***

– ვაცხადებ, რომ გარდაუვალია ქვეყანაში მასობრივი, მწვავე პროტესტი, რომელიც, უბრალოდ, პრობლემებს კი არ შეუქმნის ამ ხელისუფლებას, არამედ წალეკავს მას! ეს ხელისუფლება ცდილობს, ქვეყანაში დემოკრატიული არჩევითობაც გააუქმოს! ბლოკების გაუქმების გარდა, კიდევ ბევრ მანკიერ ნაბიჯზე მიდის ხელისუფლება.

გარდა ამისა, ფინანსური კონტროლია დამყარებული ყველა პოლიტიკურ პარტიაზე. ივანიშვილს სურს, საქართველოში ჩამოაყალიბოს ჩრდილოკორეული ტიპის მმართველობა, სადაც ორი მესამედი ყოველთვის ექნება მმართველ პარტიას, ხოლო ერთი მესამედი – მმართველი პარტიის სატელიტებს.

***– რამდენად შესაძლებელია ამ სისტემის დამკვიდრება?***

– ეს სისტემა მარცხისთვის არის განწირული. ის, რომ მათ მოახერხეს ეფემერულად გარკვეული შედეგის მიღწევა, ბუმერანგივით მოუბრუნდებათ უკან. სააკაშვილსაც სწორედ თავისი თვითმმართველობა მოუბრუნდა უკან. ივანიშვილიც სააკაშვილის გზას დაადგა და ეს კიდევ უფრო აჩქარებს მის აღსასრულს. ის, უბრალოდ, აიძულებს ოპოზიციურ პარტიებს, ერთიანი ფრონტით დაუპირისპირდნენ ამ რეჟიმს.

# თიბილოვი ავარიაში მოყვა

შორენა მარსაგიშვილი

**რეფერენდუმების მანიით შეპყრობილი ლეონიდ თიბილოვი სიკვდილს გადაურჩა. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ავტოავარიაში მოყვა. მის პრესსპიკერ განა იანოვსკაიას განცხადებით, ავტოსაგზაო შემთხვევა ცხინვალი-ზნაურის გზაზე მოხდა.**

– ავარია ცხინვალი-ზნაურის ტრასაზე, სოფელ ნოგყაუს (ახალსოფელი) მიდამოებში მოხდა. მომხდარის შედეგად არავინ დაზარალებულა. რესპუბლიკის მეთაურს სამედიცინო დახმარებაც კი არ დასჭირვებია, – აღნიშნა მედიასთან საუბარში იანოვსკაიამ.

მისივე ინფორმაციით, პრეზიდენტი ამ დროისთვის საკუთარ სახლში იმყოფება. ცხინვალში იმედი აქვთ რომ დღეს, 13 თებერვალს, ის სამსახურშიც გამოცხადდება.

მართალია, ეს შემთხვევა მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ რაღაც ეჭვები გაჩნდა. ცხინვალში მაღალჩინოსნების უცნაურ ვითარებაში დაღუპვა დიდი მოულოდნელობა არ არის.

გასულ წელს თავისი მანქანისკენ მიმავალ რესპუბლიკის მთავარ პროკურორ მერაბ ჩიგოევს მანქანა დაეჯახა. პროკურორი ადგილზე დაიღუპა.

ეს ინციდენტი მაშინ მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს დაუკავშირეს. ჩიგოევი თიბილოვის გუნდის წევრად ითვლებოდა და, როგორც ამბობენ, ის ვიღაცამ თიბილოვს ჩამოაშორა.

აღსანიშნავია, რომ თიბილოვი ამ არჩევნებში თავადაც მონაწილეობს. მისი მთავარი კონკურენტი კი რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ანატოლი ბიბილოვია. ადგილობრივი ხელისუფლება ბოლომდე ვერ გარკვეულა, თუ ვის უნდა დაუჭიროს მხარი. ისინი დირექტივებს მოსკოვიდან ელოდებიან, საიდანაც ჯერ არანაირი მითითება არ მოსულა.

გავრცელებული ინფორმაციით, საბოლოო გადაწყვეტილებას კრემლი უახლოეს მომავალში მიიღებს. სიტუაციაში გარკვევის მიზნით მათ ცხინვალში პუტინის თანაშემწე სურკოვი მიავლინეს, რომელმაც ადგილობრივი ხელისუფლებისგან ანგარიში ჩაიბარა და ცესკოსაც მისცა მითითებები. პუტინის თანაშემწემ ოსებს გასაგებად უთხრა, რომ არჩევნებზე არეულობას აღარ დაუშვებდნენ. წინა არჩევნები იქ ლამის სამოქალაქო ომით დასრულდა.

იქაურმა ცესკომ რუსი მაღალჩინოსნის მითითებების შესრულება უკვე დაიწყო. სწორედ სურკოვის ცხინვალის ყოფნის პერიოდში უთხრეს მათ კოკოითის უარი რეგისტრაციაზე. ცესკოს განმარტებით, ეს უკანასკნელი რეგისტრაციაში გასატარებლად მთელ რიგ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა.

იქ არჩევნები 9 აპრილს ტარდება და უკვე მანამდე იქნება გარკვეული, თუ ვინ იქნება მოსკოვის რჩეული. მოსკოვი შეეცდება, ყველაფერი პირველ ტურში დამთავრდეს.

ვიდრე მოსკოვი კანდიდატს არჩევს, პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე ერთმანეთს კომპრომატებს უვრცელებენ.

ამ დღეებში ოსურ ინტერნეტსაიტებზე გამოჩნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, თიბილოვი ცხინვალის საქართველოს შემადგენლობაში შესვლას უჭერდა მხარს.

როგორც ოსი ჟურნალისტები წერენ, პრეზიდენტს დიდად არც გავლენიანი ცხინვალელები სწყალობენ. სულ ახლახან იქ ოსთა ყოფილი ვიცეპრემიერის ვალერი ხუბულოვის შვილის ქორწილი გადაიხადეს. ხუბულოვი ცნობილი ოსი ბოევიკი გახლდათ. ის ქართველების წინააღმდეგ, სამაჩაბლოს გარდა, აფხაზეთშიც იბრძოდა.



2000 წელს ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებდა, მაგრამ 2 წლით ადრე ვლადიკავკაზში ჩაცხრილეს. მაშინ ითქვა, რომ ის თედეევების კლანმა მოიშორა, რადგანაც მათი ფავორიტი ამ პოსტზე კოკოითი იყო. საპრეზიდენტო არჩევნები მაშინ კოკოითიმ მოიგო და ამაში ახლა თბილისში მჯდომი დიმიტრი სანაკოევი დაეხმარა, რომელსაც იმჟამად პრემიერის პოსტი ეკავა. მან კოკოითის სამხრეთ ოსეთის მოქალაქის ყალბი პასპორტი დაუმზადა.

ამ ხუბულოვის შვილის ქორწილში ლეონიდ თიბილოვი არ მისულა. როგორც ინტერნეტსაიტები წერენ, ამის მიზეზი ერთი იალლიში იყო, რომელიც მოქმედ პრეზიდენტს გარდაცვლილთან მოსვლია.

– როცა თბილისმა ცხინვალში ჯარები შემოიყვანა, ყველა იმაზე ვფიქრობდით, როგორც გაგვეწია მათთვის წინააღმდეგობა. დავიწყეთ მოხალისეთა რაზმების შექმნა. მხოლოდ თიბილოვი ამბობდა, ომი არ არის საჭირო, მაინც საქართველოს შემადგენლობაში მოგვიწევს ყოფნაო, – ნათქვამია თიბილოვის მაკომპრომეტირებელ წერილში.

# აფხაზეთის პარლამენტის 35 მანდატისათვის 162 კანდიდატი იბრძვის

მარიამ მჭედლიშვილი

ანექსირებული აფხაზეთის მომავალ საპარლამენტო არჩევნებში უჩვეულოდ ბევრი კანდიდატი მონაწილეობს. აფხაზეთის ცენტრალურმა კომისიამ რეგისტრაციაში დეპუტატობის 162 მსურველი გაატარა. ეს ციფრი 14-ით აღემატება წინა არჩევნების მაჩვენებელს. 20 თებერვლამდე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების დეტალური შემოწმება გაგრძელდება. ამის შემდეგ დაიწყება აქტიური საარჩევნო კამპანია და ბრძოლა 35 მანდატისათვის. 136 კანდიდატი საინიციატივო ჯგუფებმა დაასახელეს, 26 – პარტიებმა.

ექსპერტების პროგნოზით, 12 მარტს დაგეგმილმა არჩევნებმა და მისმა შედეგებმა, შეიძლება, აფხაზეთში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. სიტუაცია აირევა იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია შედეგებს არალეგიტიმურად მიიჩნევს. ჯერჯერობით პოლიტიკური დაძაბულობა არ იგრძნობა, თუმცა ხალხში კანდიდატების გამო უკმაყოფილება გამოითქვა.

კანდიდატებით უკმაყოფილო საზოგადოების ერთმა ჯგუფმა რამდენიმე დღის წინ დეპუტატებისათვის დადგენილი ყველა პრივილეგიის გაუქმება მოითხოვა. ამ ადამიანების აზრით, დეპუტატობა უღირსმა ადამიანებმაც მოინდომეს. არ არსებობს ფილტრი, რომელიც რეპუტაციაშელახულ პირებს არჩევნებში მონაწილეობას აუკრძალავს, ამიტომ უნდა გაუქმდეს ყველა პარლამენტის წევრის ყველა შეღავათი, იმუნიტეტით დაწყებული, მაღალი ხელფასითა და პენსიით დამთავრებული. საზოგადოების მოთხოვნას მოქმედი პარლამენტის მხრიდან რეაგირება ჯერ არ მოჰყოლია. ამ პარლამენტის წევრებიდან ბევრს საკანონმდებლო საქმიანობა მომავალშიც სურს.



**საკანონმდებლო ორგანოში ბევრი შემთხვევითი ადამიანი მოხვდება**

აფხაზეთში პოლიტიკური პროცესების ბოლოდროინდელი აქტივიზაციის მიუხედავად, წინასაარჩევნო პროცესები პოლიტიზებული არ არის და არჩევნებში მხოლოდ პოლიტიკოსები არ არიან ჩართული.

დასახელებული კანდიდატების ნაწილი შორს არის პოლიტიკის, საზოგადოებრივი და იურიდიული საქმიანობისაგან. ექსპერტები მაინც არ გამორიცხავენ მათ მოხვედრას საკანონმდებლო ორგანოში. ასეთმა კანდიდატებმა, შესაძლოა, გამოცდილ პოლიტიკოსებსაც აჯობონ.

ჟურნალისტი ინალ ხაშიგი შექმნილ სიტუაციას ასე ახასიათებს:

– არ არის იმის გარანტია, რომ წინასაარჩევნო რბოლას მოიგებენ ცნობილი და გავლენიანი პოლიტიკოსები, მაგალითად, სერგეი შამბა და ასლან ბჟანია. მომავალ არჩევნებში ბევრი რამ თავად მაჟორიტარული სისტემის სპეციფიკაზეა დამოკიდებული. მრავალი წლის განმავლობაში ხალხი გაიწაფა კანდიდატების არჩევაში ნათესაური და მეგობრული პირობებიდან გამომდინარე. მაგალითად, თუ საარჩევნო ოლქში ცხოვრობენ არაფრით გამორჩეული კანდიდატის მოგვარეები, მას აქვს შანსი, აჯობოს გამოცდილ პოლიტიკოსს მარტო იმის გამო, რომ მომხრე ნათესავები ჰყავს.

მისი აზრით, დღეს შეუძლებელია იმის თქმა, როგორი იქნება 12 მარტს არჩეული პარლამენტი, ვინაიდან ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პოლიტიკური ვითარება შეიქმნება იმ მომენტში.

ექსპერტ სვეტლანა ადლეიბას აზრით, მომავალ პარლამენტში მოსახვედრად კარგი შანსები აქვს ოპოზიციას, რომელმაც ალექსანდრე ანქვაბის კანდიდატად დასახელება მოახერხა.

– ანქვაბს აქვს გამარჯვების შანსი. სხვა საქმეა, სჭირდება თუ არა ეს თვითონ ანქვაბს, – ამბობს სვეტლანა ადლეიბა.

მისი პროგნოზით, კარგი წინაპირობები აქვთ ასევე ასლან ბჟანიას, რომელმაც პარტია ამცახარას სახელით არ წამოაყენა თავისი კანდიდატურა და კენჭს იმ ოლქში იყრის, სადაც დაიბადა და სერგეი შამბას, რომელიც დასახელებულია იმ ოლქში, სადაც ცხოვრობს. სვეტლანა ადლეიბა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს ასევე შს ყოფილ მინისტრ რაულ ლოლუასაც, რომელსაც, მისი აზრით, კარგი ავტორიტეტი აქვს.

დეკემბრის მოვლენების შემდეგ აფხაზეთში დამკვიდრდა აზრი, რომ პოლიტიკა მთლიანად დისკრედიტებულია. როგორც ჩანს, ოპოზიციის გარიგებამ ხელისუფლებასთან და თანამდებობების გადანაწილებამ ოპოზიციის რეპუტაციაზე ცუდად იმოქმედა.

# მიხეილ ჯანელიძე: „საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობები ასეთი ახლო და მჭიდრო არასდროს ყოფილა“

– საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობები ასეთი ახლო და მჭიდრო არასდროს ყოფილა.

ასე აფასებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტს, რომლის ფარგლებშიც აშშ-ის სახელმწიფო მდივან რექს ტილერსონთანაც გამართა შეხვედრა.

როგორც ჯანელიძემ ტელეკომპანია „იმედს“ განუცხადა, ეს იყო უმნიშვნელოვანესი ვიზიტი უმნიშვნელოვანეს პერიოდში.

მისივე თქმით, აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან შეხვედრა არის უნიკალური შესაძლებლობა, რაც ადასტურებს აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიულ პარტნიორობას.

– საქართველო არის ლიდერი ქვეყანა რეგიონში, როგორც დემოკრატიული ტრანსფორმაციის, ასევე იმ რეფორმების კუთხით, რომლებიც უკავშირდება სტაბილურობას, განვითარებას. არასდროს ყოფილა ჩვენი ურთიერთობები აშშ-სთან ასეთი ახლო და მჭიდრო. ამას ხაზი გაესვა ყველა შეხვედრაზე როგორც თეთრ სახლში, ასევე სახელმწიფო დეპარტამენტსა და კონგრესში. კიდევ ერთხელ ვიგრძენით მხარდაჭერა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, – განაცხადა ჯანელიძემ.

მისივე თქმით, აშშ და ახალი ადმინისტრაცია საქართველოს უყურებს, როგორც დიდი შესაძლებლობების მქონე ქვეყანას რეგიონში და მხარს უჭერს იმ პოლიტიკას, რომ



საქართველო გახდეს რეგიონული ჰაბი ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით, ასევე საქართველომ შეასრულოს ის ფუნქცია, რომელიც უკავშირდება ევროპა-აზიის დამაკავშირებელ ფუნქციას.

საუბარი შეეხო იმ ვიზიტებსაც, რომლებიც განხორციელდა კონგრესში.

– ჩვენი დეპუტატების წარმატებული ვიზიტი იყო მიმდინარე კვირაში. გაიმართა 30-მდე შეხვედრა როგორც წარმომადგენელთა პალატაში, ასევე სენატში. ჩვენ გავაგრძელებთ აქტიურ კომუნიკაციას. ის პლატფორმა, რომელიც შექმნილია, იძლევა იმის გარანტიას, რომ გვექნება აქტიური კომუნიკაცია, რომლის ფარგლებშიც განვიხილავთ ყველა ორმხრივ თუ მრავალმხრივ ფორმატში არსებულ საკითხს საქართველოსა და აშშ-ს შორის, – განაცხადა ჯანელიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# პატრიარქს ქირურგიული ოპერაცია დღეს დილით ჩაუტარდება



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის ქირურგიული ოპერაციის გაკეთება დღეს, 13 თებერვალს, თბილისის დროით 11:00 საათზეა დანიშნული.

საქართველოს საპატრიარქოს მიერ 9 თებერვალს გავრცელებული განცხადების თანახმად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კლინიკო-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები ჩაუტარდა. მიღებული მონაცემების საფუძველზე, ნაღვლის ბუშტის ქირურგიული მეთოდით მკურნალობის აუცილებლობა დადასტურდა.

პატრიარქი ბერლინში სამკურნალოდ 2 თებერვალს გაემგზავრა.

**ინტერპრესნიუსი**

# თამარ ჩუგოშვილი: „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა ცალსახაა“



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამარ ჩუგოშვილის თქმით, რა განცხადებაც არ უნდა გაკეთდეს აშშ-ში რუსეთთან მიმართებით, არავითარ შემთხვევაში ეს არ მოახდენს ნეგატიურ გავლენას საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებზე.

როგორც ჩუგოშვილმა ვაშინგტონში გამართული სამუშაო ვიზიტის შეფასებისას განაცხადა, თუ რაიმე შეიცვლება, ეს იქნება კიდევ უფრო დაახლოების, დამეგობრებისა და საქართველოს მხარდაჭერის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები.

– საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა არის ცალსახა, არის ორპარტიული და არავითარ შემთხვევაში არ ექვემდებარება გადახედვას. ეს არის ძალიან ნათელი გზავნილი, რომელიც ჩვენ მივიღეთ, – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

**მედიანიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# ნოდარ ხადური: „ფარმაცევტულ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა არცერთ კომპანიას არ აქვს“

## „იანდექს ტაქსის მომჩივან მხარეს საკუთარი საჩივარი აღარ დაუზუსტებია“

– იანდექს ტაქსის მომჩივან მხარეს საკუთარი საჩივარი აღარ დაუზუსტებია.

ეს განცხადება ბიზნესკონტრაქტთან კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე ნოდარ ხადურმა გააკეთა.

მისი თქმით, საჩივარი დაზუსტებას საჭიროებდა, მაგრამ ქართული ტაქსით მომსახურების კომპანიებს ეს არ გაუკეთებიათ.

– იანდექს ტაქსისთან დაკავშირებით, როდესაც ჩვენთან შემოვიდა განაცხადი, ის არ იყო იმ ფორმის, რომელიც საჭიროა, ანუ არ იყო სრული. ჩვენ კომპანიას ვთხოვეთ, რომ დაეზუსტებინა საჩივარი, მომჩივანმა მხარემ აღარ დააზუსტა საჩივარი. არ ვიცი, ეს რატომ მოხდა, – თქვა ხადურმა.

მისივე განცხადებით, რამდენიმე დღის წინ ანალოგიური შინაარსის საჩივრით სააგენტოს ქალაქ გორის ტაქსით მომსახურების კომპანიებმა მიმართეს.

– გუშინ შემოვიდა ჩვენთან საჩივარი გორიდან, გორში მოქმედი 12 კომპანია, რომელიც ემსახურება მოსახლეობას ტაქსებით, ამბობს, რომ, შესაძლოა, ანალოგიურ ამბავთან გვქონდეს საქმე, – განაცხადა ხადურმა.



კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელმა ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მდგომარეობა შეაფასა. ხადური არ გამორიცხავს, რომ სააგენტომ ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგი განახორციელოს. მისი თქმით, დღეს ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა არცერთ კომპანიას არ აქვს, რადგან ფარმაცევტული ბაზარი 3 მსხვილი და ასეულობით მცირე ზომის კომპანიით არის წარმოდგენილი.

– ჯიპისისა და ფარმადეპოს შერწყმის შემთხვევაში, ეს კომპანია, მიუხედავად შერწყმისა, ვერ გახდა ნომერ პირველი ბაზარზე. ბაზარზე დღეს სამი მსხვილი მოთამაშე და ასეულობით წვრილი მოთამაშეა. ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა არცერთ კომპანიას არ აქვს, ჩვენი კანონმდებლობით. ჩვენ მთელი ბაზარი არ შეგვისწავლია, შევისწავლეთ კონცენტრაცია და დადგინდა, რომ დარღვევა არ იქნებოდა.

ფარმაცევტული საზოგადოებიდან იყო გარკვეული შიშები ამ გაერთიანებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს აღარაა მარეგულირებლის კომპეტენცია. საუბარია, მაგალითად, რომ ერთ კომპანიას უჩნდება რესურსი, რომ საბანკო რესურსი უფრო მეტად გამოიყენოს, მაგრამ ეს თემა სცდება ჩვენს კომპეტენციას. მე არ გამოვრიცხავ, რომ აღნიშნულ ბაზარზე განვახორციელოთ მონიტორინგი, მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ შესაბამის სამსახურებთან ერთად, – განაცხადა ხადურმა.

# კახეთში თერმული სკების წარმოება დაიწყო

მეფუტკრე ილია ხარაზიშვილი ოთხი თვეა თერმულ სკებს აწარმოებს. მას საწარმო კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდაში, საკუთარ სახლში აქვს მოწყობილი და თავისი მეურნეობისთვის უკვე 100 თერმული სკა დაამზადა.

როგორც ილია ხარაზიშვილი ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ თერმულ სკებს საქართველოში სხვებიც აწარმოებენ, ეს პროდუქტი ჯერ ახალია და მის მიმართ დაინტერესება ნელ-ნელა იზრდება.

– თერმულ სკებს ორი დანიშნულებით ვამზადებ. ერთი, სადაც ფუტკრები უნდა განთავსდნენ და მეორე, გამრავლებისთვის განკუთვნილი სკები. ვინც გაიგო თერმული სკების შესახებ, ერთი ან ორი მაინც შეიძინა, შედეგები შეაფასა და ახლა უკვე სურვილი გაუჩნდა, რომ ფუტკრები მთლიანად თერმულ სკებში გადაიყვანონ.

ბოლო 10 წელია, რაც მეფუტკრეობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა და ბევრმა არ იცის ამ სკების შესახებ, მაგრამ მალე აუცილებლად მოთხოვნადი გახდება, – ამბობს ილია ხარაზიშვილი.

მეფუტკრე, რომელიც სოფელ კაჭრეთში, საზოგადოებრივ კოლეჯში მეფუტკრეობას ასწავლის, თერმული სკების უპირატესობებზე გვესაუბრება.

– ასეთ სკებში ზამთარსა და ზაფხულში ტენიანობის მაჩვენებელი სტაბილურია. სასაქონლე თაფლის შემოსავალი თითო სკაზე 10 კილოგრამით უფრო მეტია, ვიდრე ხის სკებში. მავნე მწერები

და მღრღნელები თერმულ სკებსა და თაფლს ზიანს ვერ აყენებენ. უარყოფითი აქვს ის, რომ ძლიერ დარტყმებს ვერ უძლებს. მე ვფიქრობ, რომ თერმული სკები სტაციონარულ საფუტკრეებში უფრო გაამართლებს, ვიდრე მთაბარში, – აცხადებს მეფუტკრე.

მისი თქმით, ერთი თერმული სკის დამზადება, საშუალოდ, 100 ლარი ჯდება და შედარებით იაფია, ვიდრე ხის სკები.



მეფუტკრეს სახლში საწარმოს მოწყობა თითქმის 4.000 ლარი დაუჯდა. თერმული სკების დასამზადებელი დანადგარების ნაწილი შეიძინა, ნაწილი კი თავად დაამზადა. ილია ხარაზიშვილი საწარმოში მარტო მუშაობს და მასშტაბურ წარმოებაზე არ ფიქრობს.

– ძალიან კმაყოფილი ვარ, 100 სკა მაქვს გამზადებული. ამდენი სკა რომ მეყიდა, ფაქტობრივად, 3-4-ჯერ მეტი უნდა გადამეხადა, ვიდრე ამ საწარმოს მოწყობა დამიჯდა. მუშახელის დამატებას არ ვგეგმავ, ისეთ შეკვეთას არ მივიღებ, რომელსაც მე თავად ვერ გავწვდები. ეს საოჯახო ბიზნესია, თუმცა, ვისაც სურვილი ექნება, სიამოვნებით ვასწავლი თერმული სკების დამზადებასა და მეფუტკრეობას, – ამბობს ილია ხარაზიშვილი.

მეფუტკრე ბიზნესპრესნიუსთან სამომავლო გეგმებზე საუბრობს და აცხადებს, რომ წელს საქველმოქმედო საფუტკრის გაკეთებას გეგმავს.

მოწეული თაფლით ილია ხარაზიშვილი აპირებს, რომ ერთჯერადად, თუნდაც ახალ წელს, ბავშვთა სახლებს, მოხუცთა თავშესაფრებსა და სოციალურად დაუცველ ოჯახებს დაეხმაროს.

**თათია ახვლედიანი, ბიპიენი**

# ოთარ დანელია: „მიწის უცხოელებზე გასხვისება უნდა გავამკაცროთ“

უცხოელებზე მიწის მიყიდვის წესის განსაზღვრა და ვაზისა და ღვინის შესახებ კანონის მიღება ის 2 პრიორიტეტული კანონპროექტია, რომლებსაც აგრარულ საკითხთა კომიტეტი საგაზაფხულო სესიაზე წარადგენს.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, ეს არის ის 2 მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომლებიც განხილვის საგანი უნდა გახდეს და მასში ჩართული იყოს ყველა დაინტერესებული მხარე, პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე.

– საკომიტეტო მოსმენების დონეზე ჩვენ უკვე ინიცირებული გვაქვს კანონპროექტი ვაზისა და ღვინის შესახებ. ამაზე დავიწყებთ კონსულტაციებს და ძალიან მალე საბოლოო სახეს მივცემთ. ვაზისა და ღვინის შესახებ კანონპროექტი ითვალისწინებს თანამედროვე მიდგომებს, კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობისთვის საკანონმდებლო ბაზის გათანამედროვებას, რადგან საკმაოდ ძველია ის ვარიანტი, რომელიც



დღეს მოქმედებს.

ასევე, ამ კანონპროექტში ფარგლებში გვაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელთა დანერგვა საერთაშორისო პრაქტიკისა და ევროსტანდარტების გათვალისწინებით მოხდება, – განაცხადა დანელიამ.

რაც შეეხება მიწის საკუთრების შესახებ კანონპროექტს, რომელიც უცხოელებზე მიწის გასხვისებას ეხება, დანელიას თქმით, მისი განხილვა აუცილებლად საჯაროდ მოხდება.

მისი განცხადებით, უცხოელებზე მიწის გასხვისების საკითხი საკმაოდ დიდი ხნის, შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული პრობლემაა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ვერ მოგვარდა.

– ჩვენ გვინდა, რომ ეროვნული ინტერესის გათვალისწინებით ეს პრობლემაც მაქსიმალურად დაჩქარებული ვადებით დავარეგულიროთ, – აღნიშნა დანელიამ.

დეპუტატის განცხადებით, აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით ბევრი მოსაზრება არსებობს.

– მიწის უცხოელებზე გასხვისება აუცილებლად უნდა გავამკაცროთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აბსოლუტურად ხელმიუწვდომელი იყოს ინვესტორებისთვის. ხელმისაწვდომობა შესაძლებელია, მხოლოდ გამონაკლისის სახით დავუშვათ. მიწას სჭირდება დაცვა. ეს არის ეროვნული უსაფრთხოების საკითხი. ამიტომ საჭირო და მნიშვნელოვანია, ფრთხილად მოვეკიდოთ ამ საკითხს და სწორად მივიღოთ გადაწყვეტილება, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

**კომერსანტ.გე**

# რატომ მყარდება ლარი?

ეკონომიკის ექსპერტი დავით ასლანიშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე რეფინანსირებული სესხების შესახებ პოსტს აქვეყნებს:

რეფინანსირების სესხი არის კომერციული ბანკის ოვერდრაფტ-სესხი ეროვნულ ბანკში – ხალხისთვის გასაგებ ენაზე (მოკლევადიანი ლიკვიდობის მართვის ინსტრუმენტი – სპეციალისტების ენაზე).

რეფინანსირების სესხზე პროცენტს იხდის კომერციული ბანკი – საბოლოო ჯამში, ბანკის კლიენტი, ხოლო ეროვნული ბანკისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

მცირე ზომით რეფინანსირების სესხი მისაღები და დასაშვებია, დიდი ზომით – ფეთქებადსაშიში!!!

დღეს კიდევ ვინმე უარყოფს, რომ რეფინანსირების სესხებსა და გაცვლით კურსს შორის კავშირი არ არის?

ბოლო სამი კვირაა, მცირდება რეფინანსირების სესხების მოცულობა – ლარიც მყარდება.



მოვუწოდებ ეროვნულ ბანკს, რომ რეფინანსირების აუქციონის შედეგები ტექსტურად გამოაქვეყნოს საიტზე, როგორც ეს ხდებოდა 2016 წლის ივლისამდე და ნუ იფარგლება ინფორმაციის გადამალვით ექსელის ფაილებში.

აგრეთვე მოვუწოდებ ეროვნულ ბანკს, ბლუმბერგში აჩვენოს აუქციონში მონაწილე და აუქციონში გამარჯვებული ბანკების რაოდენობა, როგორც ეს ხდებოდა მიმდინარე წლის იანვრის ჩათვლით.

# საქართველოს 4 ახალი სასტუმრო შეემატება

ორი ახალი სასტუმრო თბილისში, ერთი ქუთაისის აეროპორტთან და ერთიც ვანში აშენდება.

სასტუმროების მშენებლობას „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპი“ გეგმავს. როგორც კომპანიის დამფუძნებელი, ბეჟან წაქაძე ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას აცხადებს, თბილისში სასტუმროების მშენებლობა პროექტის დამტკიცებისთანავე დაიწყება, რასაც დაახლოებით თვე-ნახევარი სჭირდება.

მისივე თქმით, საშუალო და მაღალი კლასის სასტუმროები თბილისში, საბურთალოსა და მთაწმინდაზე აშენდება.

– ეს იქნება 4-ვარსკვლავიანი სასტუმროები, გათვლილი 70 და 50 ნომერზე. საშუალო კლასის სასტუმრო საბურთალოზე აშენდება, მაღალი კლასის კი – მთაწმინდაზე, – ამბობს ბეჟან წაქაძე.

მისივე თქმით, სასტუმროების მშენებლობის დაწყება ტურისტების მხრიდან გაზრდილმა მოთხოვნამ გადააწყვეტინა. ბეჟან წაქაძე ორი სასტუმროს მშენებლობას რეგიონშიც გეგმავს.

– ქუთაისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთი ჰექტარი




მიწა შევიძინე, სადაც ახლო მომავალში სასტუმროს ავაშენებ. ასევე ვგეგმავ ვანში 20-25-ნომრიანი სასტუმროს აშენებას, რადგან ვანი, როგორც ძველი არქიტექტურული ქალაქი, მალე ყველა იმ მარშრუტში იქნება ჩართული, რომელსაც ტურისტები გაივლიან, – ამბობს ბეჟან წაქაძე.

„ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპის“ დამფუძნებელი აცხადებს, რომ თბილისში სასტუმროების მშენებლობა, სავარაუდოდ, ორ წელიწადში დასრულდება, რეგიონებში კი ამას უფრო მოკლე პერიოდში მოახერხებს.

რაც შეეხება ინვესტიციის მოცულობას, თბილისის პროექტებში ინვესტორი 8-9 მილიონი დოლარის ჩადებას გეგმავს, რეგიონებში კი 3-4 მილიონი დოლარია გათვლილი.

**ბიპიენი**

# საწარმოებს ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებებზე ფინანსთა სამინისტროსთვის მიმართვა უვადოდ შეეძლებათ

ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადდა კანონის პროექტი „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კანონის თანახმად, შესაძლებელია საწარმოების ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაცია, სასესხო დავალიანების უიმედო სესხად აღიარება და ჩამოწერა, პატიება, მესამე პირისათვის გადაკისრება, დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისათვის გარკვეული დისკაუნტით დათმობა.

ამ თხოვნით კომპანიას შეეძლო მიემართა ფინანსთა სამინისტროსთვის 2017 წლის 1 იანვრამდე. ვადის ამოწურვის გამო მთავრობამ ამ პროცესის გაგრძელება გადაწყვიტა უვადოდ და პარლამენტში შევიდა აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივით.

# საქართველოში საარსებო შემწეობას 125.301 ოჯახი იღებს

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში სულ 498.395 ოჯახია რეგისტრირებული და აქედან 125.301 ოჯახი საარსებო შემწეობას იღებს.

სოციალური შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა ბოლო 8 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი 2012 წელს იყო და 163.183 შეადგინა.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სოციალური შემწეობის ოჯახების რაოდენობა ასე გამოიყურებოდა:

2008 წელი – 131.182
2009 წელი – 153.434
2010 წელი – 144.877
2011 წელი – 132.505
2012 წელი – 163.183
2013 წელი – 150.607
2014 წელი – 141.776
2015 წელი – 125.301

საარსებო შემწეობის ოდენობა ერთსულიანი ოჯახისთვის 60 ლარია, ხოლო ორ და მეტსულიანი ოჯახების შემთხვევაში, ერთსულიანი ოჯახისთვის დადგენილი საარსებო შემწეობის ოდენობას მეორე და ოჯახის ყოველ მომდევნო თითოეულ წევრზე ემატება 48 ლარი.

ოჯახისთვის, რომლის სარეიტინგო ქულაც 30.001-ზე ნაკლებია, საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე. ოჯახისთვის, რომლის სარეიტინგო ქულაა 30.001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57.001 ქულაზე. საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე.

ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულაა 57.001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60.001 ქულაზე, საარსებო შემწეობა განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე. ოჯახისთვის, რომლის სარეიტინგო ქულაა 60.001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65.001 ქულაზე, საარსებო შემწეობა განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე.

ოჯახისთვის, რომლის სარეიტინგო ქულაც 100.001-ზე ნაკლებია, საარსებო შემწეობა განისაზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ, 16 წლამდე ასაკის წევრზე.

# ბექა ბასილაია: „რუსებისთვის გია უდესიანის თავი ძვირად ფასობს და, გამორიცხული არ არის, ხელისუფლებას მისი დაკავება ამიტომ სურდეს“

კუს ტბის წილების საქმეზე ბრალდებულ გია უდესიანის ადვოკატები აცხადებენ, რომ სახელმწიფო სტრუქტურები მუშაობენ იმისთვის, რომ გია უდესიანი სასამართლომ დამნაშავედ ცნოს.

გია უდესიანს ბესიკ ხარძიანისთვის კუს ტბის წილების იძულებით დათმობის მიზნით ციხეში წამების ორგანიზება ედება ბრალად. ამჟამად გია უდესიანი საქართველოში არ იმყოფება. მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დაუსწრებლად აქვს შეფარდებული. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო იხილავს.

– ყველა სტრუქტურა, ეს იქნება პროკურატურა, სასამართლო თუ ექსპერტიზის ბიურო, მოქმედებენ შეთანხმებულად, რომ ამ საქმეზე მართლმსაჯულება კი არ განხორციელდეს, არამედ გია უდესიანი აპრიორი დაისაჯოს, – ამბობენ გია უდესიანის ადვოკატები შოთა კახიძე და ბექა ბასილაია.

**ბექა ბასილაია,** გიორგი უდესიანის ადვოკატი:

– გიორგი უდესიანისთვის ბრალის წაყენება და შემდგომ პატიმრობის შეფარდება ერთადერთ მიზანს ისახავს, რომ მოხდეს მისი დევნა პოლიტიკური ნიშნით. პროკურატურის მხრიდან, ფაქტობრივად, არაფერი ახალი არ ყოფილა მოპოვებული და, ამის მიუხედავად, უდესიანს ბრალი იმ პერიოდში წაუყენეს, როდესაც მან სკაიპის საშუალებით ჩვენება მისცა გამოძიებას და ყველა გარემოება ახსნა, რაზეც მის მიმართ კითხვები არსებობდა.

საქმის მასალებში არცერთი პირდაპირი მტკიცებულება მის წინააღმდეგ არ არსებობს. არის მხოლოდ ირიბი ჩვენებები. არავინ გიორგი უდესიანს ხელს არ ადებს და ვერც დაადებს, რომ მან ბესიკ ხარძიანისთვის პრობლემების შექმნის ბრძანება ვინმეს მისცა, იმიტომ რომ ასეთი რამ არ მომხდარა. პირიქით, საქმეში წარმოდგენილია მასალები, რომლითაც ჩანს, რომ უდესიანმა ხარძიანს ხელი გაუმართა.

ბესარიონ ხარძიანის გარდაცვალების შემდეგ დაინტერესებული პირები ეცადნენ, ეს მკვლელობა და გამოძიება წაეყვანათ გია უდესიანისკენ, რაც უპერსპექტივო იყო, რადგან გია უდესიანს ბესარიონ ხარძიანის გარდაცვალებასთან არანაირი კავშირი არ გააჩნია.

მის მიმართ წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია კი აწ გარდაცვლილის ოჯახის წევრების ერთმა ნაწილმა წამოიწყო, მაშინ როდესაც არანაირი მტკიცებულება გიასთან დაკავშირებით არ არსებობს და ვერც იარსებებს, რადგან არანაირი შემხებლობა ამ თემასთან მას არ ჰქონია.

***– მაშინ რას ედავება პროკურატურა უდესიანს?***

– გია უდესიანს ბრალი წაყენებული აქვს, თითქოსდა ხარძიანზე ციხეში ყოფნისას ახდენდა ზეწოლას და გამოსძალა კუს ტბის წილები. რეალურად კი პროკურატურას საერთოდ არ აქვს რამე დამამტკიცებელი დოკუმენტი და უბრალოდ ააგორა ეს სრულიად დაუსაბუთებელი, არაკანონიერი ბრალდება.

ამას აქვს 2 ასპექტი: სამართლებრივი და მტკიცებულებითი.

სამართლებრივი ასპექტი მდგომარეობს შემდეგში: გია უდესიანის ბრალდება ეყრდნობა მხოლოდ ეჭვებს და არცერთი პირდაპირი მტკიცებულება გიორგის წინააღმდეგ წარმოდგენილი არ არის. საკონსტიტუციო სასამართლო კი ცალსახად ამბობს, რომ ეჭვებსა და ვარაუდებზე დაყრდნობით ბრალის წაყენება ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა დაუშვებელია.

ამასთან ერთად, გია უდესიანს გლდანის საპყრობილესთან ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან კავშირი არ ჰქონია და გამოძიებამ რამდენიმე ყოფილი ბადრაგის (რომლებიც სხვადასხვა დანაშაულში იყვნენ სხვადასხვა დროს მსჯავრდებულნი) სავარაუდო ჩვენება გამოიყენა ამის შესათითხნად. ბადრაგები ვარაუდობდნენ, რომ, შესაძლოა, ვინმე გია უდესიანს ჰქონდა კუს ტბის ინტერესი და ამიტომ, შესაძლოა, სხვა პირების დახმარებით მოეხდინა ციხეში ზეწოლა ხარძიანზე.

რამდენად რეალურად გეჩვენებათ, რომ ბადრაგებს ასეთი ტიპის ინფორმაცია ჰქონოდათ და თანაც მათი მოწმეებად მოყვანა, რომ უდესიანს ჰქონდა ინტერესები კუს ტბის წილების მითვისებაში. არადა, ჩვენ წარმოვადგინეთ უტყუარი მტკიცებულებები, როცა ბესარიონ ხარძიანისა და მისი სხვა გულშემატკივრები ოფისში არაერთგზის მიდიან გიასთან და სთხოვენ, რომ დაეხმაროს ხარძიანს კუს ტბის წილების გაყიდვაში, რათა მიეხმარონ ბესოს და, პირიქით, მადლიერებას გამოხატავენ მისი მისამართით. ერთ-ერთ ჩანაწერში გია აცხადებს კიდეც, რომ მას კუს ტბის ინტერესი არ აქვს და მისი ყიდვა არ აინტერესებს, თუმცა ხარძიანის ოჯახის წევრები იქვე სთხოვენ გიას, დაეხმაროს მათ ინვესტორის მოძიებაში.

ეს და სხვა ჩანაწერები ჩვენ, დაცვის მხარემ წარვადგინეთ, მაგრამ სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ რატომღაც უარი თქვა მათ ექსპერტიზაზე. თავდაპირველად, ექსპერტიზის ბიურომ თვეების განმავლობაში გვატყუა, რომ ამ საქმეზე მუშაობდნენ, შემდგომ კი წარმოგვიდგინა მოულოდნელი მოთხოვნები, რომ მათ უნდა ჰქონოდათ ის ჩამწერი ორიგინალი მოწყობილობა, რითიც ჩაწერა განხორციელდა, რათა შემდეგ დადგენილიყო იმ ჩამწერის ნამდვილობა, მაშინ როდესაც დაახლოებით ერთი წლით ადრე ამგვარი მოთხოვნების გარეშე ჰქონდათ დასკვნა გაცემული.


ბექა ბასილაია

ამ და სხვა თითიდან გამოწოვილი გაურკვეველი მოტივაციით ექსპერტიზამ, ფაქტობრივად, არ შეისწავლა აღნიშნული ფირები და არ გასცა პასუხი ჩვენ მიერ დასმულ კითხვებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ექსპერტიზის ბიურო პროკურატურის „დაკვეთების ხელის ბიჭივით“ იქცევა.

ეს განპირობებულია იმით, რომ პროკურატურა ცდილობს, სიმართლე მიიჩქმალოს და დაცვის მხარეს არ მიეცეს შესაძლებლობა, წარადგინოს გია უდესიანის გამამართლებელი მტკიცებულებები.

რაც შეეხება უდესიანის მისამართით გამოთქმულ ბრალდებას, რომ მას კუს ტბის წართმევა სურდა ვინმესთვის, ესეც მტკნარი სიცრუეა. ელემენტარულად, ამის საჭიროება იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ დადგებოდა, რომ არსებობს კომპანიის წესდება, მხარეთა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ ხარძიანი ვერ შეასრულებდა თავის ფინანსურ ვალდებულებებს, პარტნიორებს უფლება ეძლეოდათ, წაეღოთ ეს წილები.

ეს ვალდებულებები ბესარიონ ხარძიანს წლების განმავლობაში შეუსრულებელი ჰქონდა და, შესაბამისად, 2011 წლისთვის ლეგალურად, თავისუფლად შეიძლებოდა, სამოქალაქო-სამართლებრივი გზით ჩამორთმეოდა კუს ტბის წილები, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე.

***– თქვენ პროკურატურის მხრიდან ზეწოლაზე დაიწყეთ საუბარი. უფრო კონკრეტულად?***

– პროკურატურა, რომელსაც რეალურად ბრალდების გასამყარებლად და დასამტკიცებლად არ აქვს არცერთი მამხილებელი დოკუმენტი, გადავიდა კომიკურ ქმედებაზე, მან დაიწყო ჩვენი მოწმეების „მოპარვა“. სასამართლო სხდომაზე ჩვენ მიერ გამოკითხული პირები პროკურატურამ თავად მიუთითა საკუთარ მოწმეებად, შეიყვანა ნუსხაში და მოითხოვა დაცვის მხარის მტკიცებულებების ბრალდების მხარის მტკიცებულებებად დაშვება, რაც წარმოუდგენელი სამართლებრივი ნონსენსია.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არაკანონიერად ცნო პროკურორების ეს ქმედება, მაგრამ პროკურატურას მაშველ რგოლად გამოუჩნდა სააპელაციო სასამართლო, რომელმაც გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და, ფაქტობრივად, დაცვის მხარე დაგვტოვა მოწმეების გარეშე.

პროკურატურამ გამოსაკითხად დაიბარა ბესიკ ხარძიანის შვილი, ანნა ხარძიანი, რომელიც დაცვის მხარის მოწმე იყო, თუმცა სასამართლომ უფლება მისცა პროკურატურას, რომ მოწმეთა საკუთარ სიაში შეეყვანა.

ანნა ხარძიანი პროკურატურაში დაიბარეს და სისხლისსამართლებრივი დევნით დაემუქრნენ. მისგან ითხოვდნენ, უარეყო ის ინფორმაცია, რომელიც დაცვის მხარეს დაუდასტურა გამოკითხვისას.

გია უდესიანი იდევნება იმ ფაქტორის გამო, რომ იბრძოდა აფხაზეთის ომში, იბრძოდა აგვისტოს ომში, იყო მნიშვნელოვან სამხედრო ქვედანაყოფ „ჯიქების“ მეთაური და, პრორუსული ძალების გააქტიურების პარალელურად, უდესიანზე, როგორც პატრიოტ მებრძოლზე, დევნა გამოცხადდა.

როგორც იტყვიან, რუსებისთვის მისი თავი ძვირად ფასობს და, როგორც ჩანს, ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, მაქსიმალურად ჩირქი მოსცხოს, დისკრედიტაცია მიაყენოს მას და აწარმოებს მის წინააღმდეგ პოლიტიკურ დევნას.

თავისუფალი სასამართლოს პირობებში გია უდესიანი ჩამოვა და სასამართლოს წინაშე წარდგება, მაგრამ ივანიშვილის რეჟიმისგან მართული მოსამართლეების ფონზე ეს გამორიცხულია!

გია აპირებდა არჩევნებში მონაწილეობას და მაჟორიტარად კენჭისყრას მესტიაში, თუმცა ხელისუფლებას მისი ფაქტორისა და გავლენის შეეშინდა და ამიტომ დაიწყო მის წინააღმდეგ პროკურატურის მანქანის ამუშავება.

**მაკა შველიძე**

## ერევნის სასტუმროში საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს

სომხეთის დედაქალაქ ერევნის ერთ-ერთ ძვირადღირებულ სასტუმროში საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს.

გარდაცვლილი ზ.თ. ანი პლაზას მე-12 სართულზე ერთ-ერთ ნომერში საწოლში ნახეს.

24 წლის მამაკაცს მაჯები ჰქონდა დასერილი, კისერზე კი წებოვანი ლენტი ჰქონდა შემოხვეული.

სხვა დეტალები ამ ეტაპზე უცნობია.

## შუახნის მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში შუახნის მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს.

ექიმების ინფორმაციით, მამაკაცს მრავლობითი ჭრილობები აქვს მიყენებული.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

„გურიის მოამბესთან“ ადგილობრივები შემდეგს აცხადებენ:

– ვერაფერს გეტყვით, გავიგე ხმაური, სახლში ვიყავი. მეგონა, ელექტრომრიცხველთან დაკავშირებით იყო დავა. როცა ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი, მითხრეს, რომ დაჭრილია ხუტა დათუნაშვილის სიძე, მეტს ვერაფერს გეტყვით, – გვითხრა დათუნაშვილის მეზობელმა.

დაჭრილი 53 წლის მამაკაცი, რომელიც სოფლის მკვიდრი არ არის, სავარაუდოდ, სტუმრად იმყოფებოდა მეუღლის მშობლებთან.

## გაუპატიურება თუ შანტაჟი? რა მოხდა ქობულეთში

ქობულეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში 40 წლის ქალის სავარაუდო გაუპატიურების ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს.

„ბათუმელების“ ცნობით, 40 წლის ქალი, სავარაუდოდ, საკუთარი დეიდაშვილის შვილმა რამდენიმე სხვა პირთან ერთად გააუპატიურა.

ქალი ნათესავმა სახლიდან მოტყუებით გაიყვანა. პოლიციაში შეტყობინება მას შემდეგ შევიდა, როცა ოჯახის ახლობლებმა 26 წლის მამაკაცს ქალის ცოლად შერთვა კატეგორიულად მოსთხოვეს.

ნიუპოსტის წყაროს ცნობით, მათ დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდათ, ქალი დაქორწინებას აიძულებდა, რისგანაც მამაკაცი თავს იკავებდა. როგორც წყარო ამბობს, სავარაუდოდ, შანტაჟის მიზნით, გაუპატიურების მოტივით მათ სამართალდამცავ უწყებას მიმართეს.

სამართალდამცავ უწყებაში აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია 9 თებერვალს შევიდა. შს სამინისტროს ცნობით, დანიშნულია ექსპერტიზა და მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით, რაც გაუპატიურებას გულისხმობს და ისჯება 6-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

## ყაჩაღობა ლანჩხუთში — გაიტაცეს 220 ლარი და ოჯახის წევრებს სასტიკად სცემეს




11 თებერვალს ლანჩხუთში, სოფელ ჩოჩხათში, ყაჩაღობა მოხდა. ოჯახს, რომელმაც 200 ლარის დაფნა ჩააბარა, თავს დაუდგენელი პირები დაესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ოჯახის წევრებს. გელა გურგენაძე და მისი მეუღლე ეკა ჭითაშვილი გამოძიებისათვის ჯერჯერობით დაუდგენელმა, შეიარაღებულ პირთა ჯგუფმა დააყაჩაღა და სასტიკად სცემა.

შეიარაღებული პირები ოჯახისგან ფულს ითხოვდნენ. გელა გურგენაძემ გაქცევა მოახერხა, თუმცა მას გზაში დაედევნენ, სცემეს და იქვე მდინარეში ჩააგდეს. რამდენიმე საათის შემდეგ ეკა ჭითაშვილმა მოახერხა მეზობელთან მისვლა. სწორედ მეზობელმა გამოიძახა პოლიცია და სასწრაფო დახმარება.

სახლში მისულებს გელა გურგენაძე ნაცემი და გონებადაკარგული დახვდათ. საცხოვრებელი სახლიდან წაღებულია 220 ლარი.

ლანჩხუთის „მედალფას“ კლინიკაში აცხადებენ, რომ ცოლ-ქმრის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

– 45 წლის გელა გურგენაძე და მისი მეუღლე, 42 წლის ეკა ჭითაშვილი ჩვენთან 11 თებერვალს, დილის 2 საათზე შემოიყვანეს. მათ აღენიშნებოდათ ძლიერი დაჟეჟილობები თავის არეში. დაუმუშავდათ ჭრილობები და ამჟამად მკურნალობას განაგრძობენ სტაციონარში, ექიმების ზედამხედველობის ქვეშ. დაზარალებულებს იცავს პოლიცია, – გვითხრა აღნიშნული კლინიკის ქირურგმა.

დაზარალებულების ჟურნალისტებთან გასაუბრება, მათი მდგომარეობის გამო, ვერ მოხერხდა.

გურგენაძის დედა ყვება, რომ მისი შვილი სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა:

– როცა მეუღლეს ურტყამდნენ და ფულს ართმევდნენ, გელა გაიქცა. მას დაედევნენ და ჭიშკართან დაეწივნენ, ისე ძლიერად ურტყამდნენ იარაღის კონდახს თავში, რომ ერთ-ერთი დარტყმისას იქვე, მდინარეში გადავარდა. ყაჩაღებმა იფიქრეს, რადგან არ inძრეოდა, მოკვდაო, სახლში შემობრუნდნენ და მეუღლის სასტიკად ცემა განაგრძეს. ჩემი შვილი არსად მუშაობს, მხოლოდ სახლში, ბარი და თოხი. პატარა თხილის ფული გვქონდა შემორჩენილი და ის წაიღეს, – ამბობს ქალბატონი ციალა გურგენაძე.

მეზობელი ია გუჯაბიძე:

– გვიანი ღამე იყო, გვეძინა, ამ დროს გელა შემოვარდა, წელს ზევით შიშველი, საშინელ მდგომარეობაში, სულ სისხლში იყო ამოთხვრილი, მხოლოდ თვალები უჩანდა. მიშველეთო, ყვიროდა. ჩემმა ქმარმა თოფი ისროლა, გადავედით შემდეგ გელას სახლში და მისი მეუღლე უარეს მდგომარეობაში ვნახეთ. დავრეკეთ პოლიციასა და სასწრაფოში.

გურგენაძის და იხსენებს თავისი ძმის ნათქვამს, რომ გონზე მდინარეში ჩავარდნის შემდეგ წყალმა მოიყვანა და მეზობელთან რისვაი-ვაგლახით მიხოხდა.

საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით არის აღძრული, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

**თეა იოსელიანი, გურიის მოამბე**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# იაპონიის პრემიერი აშშ-ში ჩავიდა



აშშ-ში იაპონიის პრემიერი აბე ჩავიდა. ტრამპთან მოლაპარაკებები დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

პრესკონფერენციაზე ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ თავისი, როგორც მოკავშირის, მოვალეობის ერთგული რჩება.

— ჩვენ გავაგრძელებთ სამხედრო და პოლიტიკურ თანამშრომლობას იაპონიასთან. ამერიკა ტოკიოსთვის მომავალშიც ახლო მეგობარი და პარტნიორი იქნება, — თქვა ამერიკის პრეზიდენტმა.

აბემ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ აშშ-სა და იაპონიას შორის მჭიდრო სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები მყარდება.

— ჩვენ კმაყოფილნი ვართ, — აცხადებს იაპონიის ლიდერი.

# პოლონეთის პრემიერი ავტოკატასტროფაში მოყვა




პოლონეთის პრემიერ-მინისტრი ბეატა შიდლო ავტოკატასტროფაში მოყვა.

ავარია ქალაქ ოსვენციმის მახლობლად მოხდა. როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დროს ოსვენციმში ერთ-ერთი უდიდესი ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკი იყო.

პრემიერის მდგომარეობა სტაბილურია. შიდლო საავადმყოფოს პალატიდანაც კი განაგრძობს ქვეყნის მართვას.

# ტრამპი: „მე თქვენ გაგაოცებთ“




აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ იმიგრაციული პოლიტიკის გამკაცრებას აპირებს.

— უკვე მომავალ კვირას საამისოდ ახალ ბრძანებულებებს გამოვცემ, — თქვა ტრამპმა.

ამერიკის პრეზიდენტმა მკაცრად გააკრიტიკა თავისი ქვეყნის სასამართლოები. მან თქვა, რომ აშშ-ის სასამართლო სისტემა პოლიტიზებულია.

— მიუხედავად ამისა, მაინც მივაღწევ, რომ ჩემი ბრძანების მართლზომიერება დადგინდეს, — აცხადებს პრეზიდენტი.

როგორც ცნობილია, სასამართლომ შეაჩერა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, რიგი მუსლიმანური ქვეყნის წარმომადგენელთათვის აშშ-ში შესასვლელად შეზღუდვები წესდებოდა.

— დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებ! — ამბობს ტრამპი.

# ნატო რუსეთს ბრალს სდებს




ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შეშფოთებულია იმ დეზინფორმაციული კამპანიით, რომელიც რუსეთიდან მომდინარეობს.

ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ლუნგესკუმ განაცხადა, რომ ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთიდან საგრძნობლად გაიზარდა დეზინფორმაცია.

— რუსები იყენებენ როგორც ტელეარხებს, ასევე ინტერნეტსაც. დეზინფორმაცია საერთაშორისო მასშტაბებს აღწევს, — აცხადებს ლუნგესკუ.

# ერაყში ისლამისტების ლიდერი მოკლეს



საერთაშორისო ანტიტერორისტული ძალების კოალიციამ განახორციელა საჰაერო დარტყმა ისლამისტების პოზიციებზე ერაყის ქალაქ მოსულთან. ამ დროს დაიღუპა ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი რასულ კაშიმი.

სწორედ კაშიმის მიერ იყო ორგანიზებული ტერაქტები საფრანგეთში.

კაშიმის ბრძანებით იქნა მოკლული კათოლიკე მღვდელი ნორმანდიაში 2016 წელს. მის სინდისზეა საფრანგეთის ტერიტორიაზე მომხდარი არაერთი ტერაქტი.

# მინსკში უკრაინელი მწერალი დააკავეს

მინსკში უკრაინელი მწერალი სერგეი ჟადანი დააკავეს.




ის ბელარუსის დედაქალაქში პოეზიის ფესტივალზე დასასწრებად ჩავიდა. ჟადანი წაიყვანეს მილიციის რაიგანყოფილებაში, სადაც განუცხადეს, რომ რუსეთის უშიშროება ტერორიზმს სდებს ბრალად და ამიტომ მისი ბელარუსში ყოფნა დაუშვებელია.

მწერალმა ის ღამე კამერაში გაატარა, მეორე დღეს უკრაინაში დაბრუნდა.

გამგზავრების წინ მას პასპორტში ჩაურტყეს ბეჭედი იმის ნიშნად, რომ ამიერიდან ჟადანს ბელარუსში ჩასვლა ეკრძალება.

# თურქეთი: რეფერენდუმი 16 აპრილს გაიმართება

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა ხელი მოაწერა პარლამენტის დადგენილებას, რომლის თანახმად, პრეზიდენტის უფლებამოსილებანი უზომოდ იზრდება.



ევროკავშირმა აღნიშნული დადგენილება გააკრიტიკა. მიუხედავად ამისა, ერდოღანმა მაინც თავისი გაიტანა.

— ახლა ყველაფერი რეფერენდუმმა უნდა გადაწყვიტოს. ის 16 აპრილს გაიმართება, — განაცხადა ერდოღანმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# ბრიტანეთში მწვანე ფერის ლეკვი დაიბადა



დიდ ბრიტანეთში დაიბადა ლეკვი, რომელიც მწვანე შეფერილობისაა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

უჩვეულო ლეკვის პატრონებმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნეს, რომ თავდაპირველად ლეკვი შავი ეგონათ, მაგრამ შემდეგ შენიშნეს, რომ მას მწვანე ფერი გადაჰკრავდა. სხვა ლეკვები ჩვეულებრივი შეფერილობის არიან, როგორც მათი დედა, ყავისფერი ლაბრადორ-რეტრივერი, სახელად მილი.

უჩვეულო ფერი ძაღლის პლაცენტაში ბილივერდინის მაღალი შემცველობით აიხსნება. ეს ნივთიერება ჰემოგლობინის დაშლის შედეგად წარმოიქმნება. ის, შესაძლოა, ადამიანის კანშიც მოგროვდეს და მას მწვანე შეფერილობა მისცეს.

მწვანე ფერის ლეკვს დაარქვეს ფიფი პრინცესას პატივსაცემად მულტფილმიდან „შრეკი“, რომელიც მწვანე ბუმბერაზად გარდაიქმნება. ლეკვის პატრონები, როგორც კი წამოიზრდება, ფიფის გაყიდვას გეგმავენ.

# მადონას ორი ბავშვის შვილად აყვანის უფლება მისცეს




მალავის უმაღლესმა სასამართლომ ამერიკელ მომღერალ მადონას ორი ბავშვის შვილად აყვანის უფლება მისცა.

ამგვარად მომღერალს ოთხი მალაველი ბავშვის აღზრდა მოუწევს. სასამართლოს წარმომადგენელ მლენგი მვალის თქმით, მადონა სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების დროს დარბაზში იმყოფებოდა.

მადონას უკვე ჰყავს ოთხი ბავშვი. მომღერალს 1996 წელს შეეძინა გოგონა, რომელსაც ლუდრესი დაარქვეს. ბავშვის მამა ფიტნესმწვრთნელი და მსახიობი კარლოს ლეონეა. ბრიტანელ კინორეჟისორ და სცენარისტ გაი რიჩთან ქორწინების დროს, რომელიც 2000 წლიდან 2008 წლის ჩათვლით გაგრძელდა, მადონას ეყოლა ბიჭი, როკო ჯონი. ასევე მეუღლესთან განქორწინებამდე მცირე ხნით ადრე მომღერალმა იშვილა მალაველი ერთი წლის დავიდი, 2009 წელს კი მან იმავე აფრიკული ქვეყნიდან იშვილა გოგონა, სახელად მერსი.

# პალესტინელი სტილისტი ვარცხნილობას ცეცხლით აკეთებს



პალესტინელი, რომლის სილამაზის სალონი ღაზის სექტორის ტერიტორიაზე მდებარეობს, თავის კლიენტებს ვარცხნილობას ცეცხლის გამოყენებით უკეთებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 37 წლის რამადან ედვანი ცეცხლის ენებს ელექტროობის პრობლემების გამო ფენის მაგივრად იყენებს. სილამაზის სალონი ლტოლვილთა ბანაკის ტერიტორიაზე, ეგვიპტის საზღვრის სიახლოვეს მდებარეობს.

აღსანიშნავია, რომ ედვანი კლიენტებს თმებს ადვილად აალებადი ფხვნილით ან სითხით უმუშავებს, ცეცხლს უკიდებს და ვარცხნის. ამგვარმა ტექნიკამ ედვანის სილამაზის სალონის მიმართ ინტერესი გაზარდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება — მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

**☎ 599-73-48-21.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ბორჯღალოსნებმა ევროპა ბონუსიანი გამარჯვებით დაიწყეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

53), ნემსაძე, ჭეიშვილი (გიორგაძე 53), ლომიძე, თხილაიშვილი (ცუცქირიძე 80);

ბორჯღალოსნებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში ბელგიას 4 ლელო დაუდეს და 2017 წელი ბონუსიანი გამარჯვებით დაიწყეს – 31:6.

ცუდი ამინდის გამო მატჩი სანახაობრივი ვერ გამოდგა. გარდა ამისა, თამაში იმდენჯერ და იმდენს ხანს იყო შეჩერებული, რომ მორაგბეებს ბურთთან სათამაშო დროის ნახევარიც არ გაუტარებიათ.

ჩვენები ამ მატჩს ექსპერიმენტული შემადგენლობით რომ ითამაშებდნენ, ცნობილი იყო. თავისი პირველი კეპები მიითვალა სამატჩო რაზმში დასახელებულმა ოთხივე დებიუტანტმა – თორნიკე მატარაძემ, სოსო ბეკოშვილმა, გიორგი ჭყოიძემ და გიორგი ცუცქირიძემ.

არც წინა ხაზი იყო „გამოცდილი“ – სამივე მორაგბეს ნაკრებში სულ 8 მატჩი ჰქონდა ჩატარებული. და მაინც, ჩვენმა გუნდმა შერკინებაში დაჩაგრა მეტოქე. ერთია, უამინდობამ შეხვედრას თავისი კვალი დაამჩნია და ტექნიკური წუნი ბევრი იყო. თუმცა, მარტო ჩვენი მხრიდან არა...

ბორჯღალოსნები უპირატესობის ასახვას საწყისი წუთებიდანვე შეუდგნენ. ბელგიელთა ჩათვლის მოედნიდან 5 მეტრში შერკინება დაინიშნა, რომელიც 10 წუთს გაგრძელდა. მასპინძლები ამ დროში ორჯერ დაჯარიმდნენ, კიდევ ერთი ასეთი დანაშაული ლელოს ფასადაც დაუჯდებოდათ, მაგრამ უკვე ქართველები შეცდნენ.

მალევე ანგარიში მერაბ კვირიკაშვილმა ზუსტი საჯარიმოთი გახსნა. მატჩის პირველი ლელო კი 23-ე წუთზე გიორგი თხილაიშვილმა დადო, რომელიც კარგად გაერკვა დერეფნიდან აგორებული მოლის დროს.

ტაიმის მიწურულს უკვე გიორგი კოშაძემ შეაღწია მეტოქის ჩათვლის მოედანში და ეროვნულ ნაკრებში სადებიუტო ლელო მიითვალა. კვირიკაშვილმა ორივე ჯერზე გარდასახა.

ამ ლელოს შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ, მწვავედ შემოგვიტიეს, მაგრამ დრო არ ეყოთ. ბელგიელებმა თამაში გაშალეს მეორე ტაიმის დასაწყისშიც და გარკვეული ხნის განმავლობაში ჩვენს 22-მეტრიანში მიგვაჯაჭვეს. ორი ჯარიმაც გაიტანეს და რამდენჯერმე ლელოსთან ახლოსაც კი იყვნენ, მაგრამ ჩვენმა დაცვამ თავგანწირულად ითამაშა.

ასე თამაში ხეირს რომ არ დაგვაყრიდა, ნათელი იყო, ამიტომაც მილტონ ჰეიგის გუნდმა ბურთი მეტოქის ნახევარზე გადაიტანა. 69-ე წუთზე კი, ბელგიელებმა ჩვენი შერკინების მძლავრ მიძალებას ვერ გაუძლეს და საჯარიმო ლელო მივითვალეთ, რასაც კვირიკაშვილის ზუსტი გარდასახვა მოჰყვა.

მატჩის ბოლოს რაქს მოწყვეტილმა ბექა გორგაძემ დადო ლელო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

გაიმართა სხვა მატჩებიც, რომელთაგან სენსაციური შედეგი გერმანიაში დაფიქსირდა, სადაც მასპინძლებმა 41:38 მოუგეს რუმინეთს.

გერმანელები პირველ ტაიმში 24:6 ჩამორჩნენ და შესვენებამდე 2 ლელო დადეს, რის შედეგად სხვაობა 4 ქულამდე დაიყვანეს. შემდეგ კი უკვე 38:20 იყო რუმინელთა სასარგებლოდ, მაგრამ მასპინძლებმა ისევ იმძლავრეს და უკვე თავად გავიდნენ წინ. რუმინელებმა ბოლო წუთებზე ფრე იუკადრისეს და კარში ჯარიმის დარტყმის 2 შესაძლებლობაზე უარი თქვეს, მაგრამ ლელო ვერ გაიტანეს და სენსაციური მარცხი იწვნიეს.

ესპანეთმა 16:6 დაამარცხა რუსეთი და ჯერჯერობით მე-2 საფეხურზეა.

# დინამო წაუგებელია, მგზავრებმა მდგომარეობა გამოასწორეს



გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**ბათუმი-დინამო 74:81**
**(17:19, 21:26, 20:20, 16:16)**

ბათუმში სათამაშოდ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი, თბილისის დინამო ჩავიდა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

მასპინძლები შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ – უკრაინელი გამთამაშებელი ილია შემოსიუკი აკლდათ, თუმცა ძლიერ მეტოქეს მაინც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს.

პირველი პერიოდი თბილისელებმა 2 ქულით მოიგეს, ხოლო მეორეში 26:21 იმარჯვეს და დიდ შესვენებაზე 7 ქულით დაწინაურდნენ.

მესამე პერიოდი თანაბარი გამოდგა. ანგარიშში სხვაობა რამდენჯერმე მინიმუმამდე შემცირდა, პერიოდის შუაწელში კი, სულაც გათანაბრდა – 53:53. დინამოელებმა ვითარება მალევე გამოასწორეს და გუნდური თამაშის წყალობით ბოლო პერიოდის წინ კვლავ 7 ქულით დაწინაურდნენ.

ბათუმელები შანსს ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდნენ, მაგრამ სტუმრებმა კარგი თამაშის წყალობით გამარჯვებამდე მისვლა გართულების გარეშე მოახერხეს.

დინამომ საბოლოოდ 81:74 მოიგო.

25 ქულით გამარჯვებულებს მიხეილ ბერიშვილმა ულიდერა, რომელმაც 11-დან 7 სამქულიანი ჩააგდო. 11-11 ქულა დააგროვეს მიხეილ ჭოჭუამ და ილია ლონდარიძემ. ბათუმელთაგან 19 ქულით ბესო ლეჟავა იყო საუკეთესო. კრის ფელჩერმა კი 16 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა.

**ქუთაისი-სოხუმი 75:60**
**(17:18, 22:23, 20:9, 16:10)**

იმერულმა კლუბმა სოხუმელები მესამე პერიოდში გატეხა, რომელიც 20:9 მოიგო და მოპოვებული სოლიდური ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა.

არადა, სოხუმმა თამაში მძლავრად დაიწყო და პირველი პერიოდის 1 ქულით მოგების შემდეგ მეორეში 10 ქულით – 28:18 დაწინაურდა. ქუთაისელებმა ვითარება მალევე გამოასწორეს და დიდ შესვენებამდე ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირეს.

მასპინძლებს აკლდათ ძირითადი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე, თუმცა ამას ხელი არ შეუძლია მათთვის, ბოლო ტურებში გამორჩეული სოხუმი დაემარცხებინათ. როგორც აღვნიშნეთ, მესამე პერიოდი გუნდური თამაშის წყალობით ქუთაისელებმა 11 ქულით მოიგეს და სტუმართა წინააღმდეგობა გატეხეს.

საბოლოოდ ქუთაისმა 75:60 მოიგო და დინამოსთან სამქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნა.

გამარჯვებულთაგან 14-14 ქულით ანატოლი ბოისა და ბექა ბექაური გამოირჩნენ. 13-13 ქულით დაასრულეს შეხვედრა ზაურ ფაშაევმა და გოგა ცეკვავამ.

სოხუმში 18 ქულით და 11 მოხსნით საუკეთესო იყო უეიდ ლათანი, 13 ქულითა და 10 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა დავით ბარბაქაძემაც.

**კაკტუსი-მგზავრები 67:78**
**(11:21, 15:14, 16:15, 25:28)**

სუპერლიგის მესამე წრე წარმატებით დაიწყო მგზავრებმა. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა წინა ტურში ბათუმი გაანადგურა, ახლა კი კაკტუსთანაც წარმატებას მიაღწია – 78:67.

მგზავრებმა მატჩის დასაწყისშივე დაწინაურდნენ – 9:0 და შეხვედრის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. პირველი პერიოდის შემდეგ ბერიშვილის გუნდი 21:11 იგებდა, დიდ შესვენებაზე კი უპირატესობა 1 ქულით შეუმცირდა.

თანაბარი მესამე პერიოდის შემდეგ ყველაფერი ბოლო მეოთხედში გადაწყდა – საბოლოოდ მგზავრებმა 78:67 იმარჯვეს.

19-19 ქულით გამარჯვებულთაგან გიორგი ტურძილაძე და კორი ალენი გამოირჩნენ. კაკტუსში 17 ქულა ჰქონდა ირაკლი ჩლაიძეს, ხოლო ტერიკ ბრიჯმენმა შეხვედრა 10 ქულითა და 19 მოხსნით დაასრულა.

**რუსთავი-ოლიმპი 88:72**
**(26:13, 17:26, 23:20, 22:13)**

ოლიმპი სუპერლიგის ცხრილის ბოლოსწინა ადგილზე იმყოფებოდა და ამ მატჩის მოგება ძალიან სჭირდებოდა, თუმცა შეხვედრის წარმატებით დასრულება ვერ მოახერხა. რუსთაველებმა მძლავრი პირველი პერიოდი შემდეგ პოზიციები მეორეში შედარებით დათმეს, თუმცა მესამე და ბოლო ათწუთეულებში მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ და საბოლოოდ დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვეს.

რუსთაველებს ახალწვეულმა ამერიკელმა ლეგიონერმა, მორის ბრიგსმა ულიდერა, რომელმაც 25 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა. 16 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა სერგო ათუაშვილმა, ხოლო ქეისი კასპერბაუერის ანგარიშზე 14 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა. ოლიმპში 17 ქულით საუკეთესო იყო უოლტერ პიჩფორდი, ალექსანდრე ბოლქვაძის ანგარიშზე კი 13 ქულა დაგროვდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 16 | 16 | 0 | 1409-1131 | 32 |
| 2.ქუთაისი | 16 | 13 | 3 | 1293-1185 | 29 |
| 3.რუსთავი | 16 | 9 | 7 | 1260-1276 | 25 |
| 4.სოხუმი | 16 | 7 | 9 | 1333-1359 | 23 |
| 5.ბათუმი | 16 | 6 | 10 | 1225-1250 | 22 |
| 6.კაკტუსი | 16 | 6 | 10 | 1270-1371 | 22 |
| 7.ოლიმპი | 16 | 4 | 12 | 1101-1190 | 19 |
| 8.მგზავრები | 16 | 3 | 13 | 1168-1297 | 19 |

**შენიშვნა: ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა**

# ბასილაშვილი სოფიაში დიმიტროვთან დამარცხდა

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მიმდინარე ჩოგბურთელ ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე შესანიშნავად ითამაშა საქართველოს პირველმა ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა.

ჩვენებურმა მერვედფინალში ტურნირის პირველი ნომერი და მსოფლიო რეიტინგის მერვე ჩოგბურთელი, ავსტრალიელი დომინიკ თიმი 2 სეტში – 6:4, 6:4 დაამარცხა და მთავარი სენსაციის ავტორი გახდა.

არანაკლებ დასამახსოვრებელი გამარჯვება მოიპოვა ქართველმა ჩოგბურთელმა მეოთხედფინალში, როდესაც სლოვაკი მარტინ კლიჟანი დაამარცხა – 0:6, 6:3, 6:3. თითქმის ორსაათიან მატჩში მსოფლიოს რეიტინგში 87-ე ადგილზე მყოფმა ბასილაშვილმა შესაშური გამძლეობა გამოიჩინა და პირველი სეტის ჩავარდნის შემდეგ შეხვედრის შემოტრიალება შეძლო.

ნახევარფინალში ქართველი ჩოგბურთელის მეტოქე ტურნირის მე-3 ნომერი, მასპინძელი გრიგორ დიმიტროვი იყო. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ დიმიტროვი ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გავიდა, სადაც რაფაელ ნადალთან დამარცხდა.

ბულგარელი შესანიშნავ ფორმაშია და ეს ბასილაშვილთან მატჩშიც დაამტკიცა – ქართველი ჩოგბურთელი ორ სეტში უშანსოდ დამარცხდა – 1:6, 3:6.

# შედეგები

## 11 თებერვალი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ჰალი ............................ 2:0
მანჩესტერი-უოტფორდი ............... 2:0
მიდლსბრო-ევერტონი .................. 0:0
სტოკი-კრ.პალასი ........................ 1:0
სანდერლენდი-საუთჰემპტონი ....... 0:4
ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი ............ 2:2
ლივერპული-ტოტენჰემი ............... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 24 | 19 | 2 | 3 | 51-17 | 59 |
| 2.ტოტენჰემი | 25 | 14 | 8 | 3 | 46-18 | 50 |
| 3.არსენალი | 25 | 15 | 5 | 5 | 54-28 | 50 |
| 4.ლივერპული | 25 | 14 | 7 | 4 | 54-30 | 49 |
| 5.სიტი | 24 | 15 | 4 | 5 | 49-29 | 49 |
| 6.მანჩესტერი | 25 | 13 | 9 | 3 | 38-21 | 48 |
| 7.ევერტონი | 25 | 11 | 8 | 6 | 40-27 | 41 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 25 | 10 | 7 | 8 | 34-31 | 37 |
| 9.სტოკი | 25 | 8 | 8 | 9 | 30-36 | 32 |
| 10.ვესტ ჰემი | 25 | 9 | 5 | 11 | 34-43 | 32 |
| 11.საუთჰემპტონი | 25 | 8 | 6 | 11 | 28-31 | 30 |
| 12.უოტფორდი | 25 | 8 | 6 | 11 | 29-42 | 30 |
| 13.ბარნლი | 24 | 9 | 2 | 13 | 26-35 | 29 |
| 14.ბორნმუთი | 24 | 7 | 5 | 12 | 35-47 | 26 |
| 15.მიდლსბრო | 25 | 4 | 10 | 11 | 19-27 | 22 |
| 16.ლესტერი | 24 | 5 | 6 | 13 | 24-41 | 21 |
| 17.სუონსი | 24 | 6 | 3 | 15 | 29-54 | 21 |
| 18.ჰალი | 25 | 5 | 5 | 15 | 22-49 | 20 |
| 19.კრ.პალასი | 25 | 5 | 4 | 16 | 32-46 | 19 |
| 20.სანდერლენდი | 25 | 5 | 4 | 16 | 24-46 | 19 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-იფსვიჩი ..................... 0:1
ბრაიტონი-ბარტონი ...................... 4:1
დერბი-ბრისტოლი ........................ 3:3
ქპრ-ჰადერსფილდი ...................... 1:2
ლიდსი-კარდიფი .......................... 0:2
ნორვიჩი-ნოტინგემი ..................... 5:1
პრესტონი-ბრენტფორდი ............... 4:2
რედინგი-ბარნსლი ........................ 0:0
როტერჰემი-ბლექბერნი ................ 1:1
ფულემი-უიგანი ............................ 3:2
ვულვზი-ნიუკასლი ........................ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბეტისი-ვალენსია ......................... 0:0
ალავესი-ბარსელონა .................... 0:6
ბილბაო-დეპორტივო ..................... 2:1
ოსასუნა-რეალი ........................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 20 | 15 | 4 | 1 | 54-18 | 49 |
| 2.ბარსელონა | 22 | 14 | 6 | 2 | 61-18 | 48 |
| 3.სევილია | 21 | 13 | 4 | 4 | 43-28 | 43 |
| 4.სოსიედადი | 22 | 13 | 2 | 7 | 36-31 | 41 |
| 5.ატლეტიკო | 21 | 11 | 6 | 4 | 36-16 | 39 |
| 6.ვილიარეალი | 21 | 9 | 8 | 4 | 28-14 | 35 |
| 7.ბილბაო | 22 | 10 | 5 | 7 | 28-26 | 35 |
| 8.ეიბარი | 21 | 9 | 5 | 7 | 32-29 | 32 |
| 9.ესპანიოლი | 22 | 8 | 8 | 6 | 30-29 | 32 |
| 10.სელტა | 20 | 9 | 3 | 8 | 31-33 | 30 |
| 11.ლას პალმასი | 21 | 7 | 7 | 7 | 31-32 | 28 |
| 12.ალავესი | 22 | 6 | 9 | 7 | 21-28 | 27 |
| 13.ბეტისი | 21 | 6 | 6 | 9 | 21-31 | 24 |
| 14.მალაგა | 21 | 5 | 7 | 9 | 28-35 | 22 |
| 15.ვალენსია | 21 | 5 | 5 | 11 | 29-40 | 20 |
| 16.დეპორტივო | 21 | 4 | 7 | 10 | 26-34 | 19 |
| 17.ლეგანესი | 21 | 4 | 6 | 11 | 15-35 | 18 |
| 18.ხიხონი | 21 | 3 | 4 | 14 | 22-43 | 13 |
| 19.გრანადა | 21 | 2 | 7 | 12 | 17-44 | 13 |
| 20.ოსასუნა | 22 | 1 | 7 | 14 | 24-49 | 10 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალმერია-ხირონა ........................ 0:0
სარაგოსა-ლევანტე ..................... 0:1
ხიმნასტიკი-ალკორკონი ............... 1:1
ხეტაფე-კადისი ............................ 3:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-აინტრახტი ............. 3:0
ინგოლშტადტი-ბაიერნი ................ 0:2
ვერდერი-გლადბახი ..................... 0:1
დარმშტადტი-დორტმუნდი ............ 2:1
ლაიპციგი-ჰამბურგი .................... 0:3
შალკე-ჰერტა .............................. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 20 | 15 | 4 | 1 | 45-12 | 49 |
| 2.ლაიპციგი | 20 | 13 | 3 | 4 | 36-20 | 42 |
| 3.აინტრახტი | 20 | 10 | 5 | 5 | 25-18 | 35 |
| 4.დორტმუნდი | 20 | 9 | 7 | 4 | 40-23 | 34 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 19 | 8 | 10 | 1 | 35-19 | 34 |
| 6.ჰერტა | 20 | 10 | 3 | 7 | 27-23 | 33 |
| 7.კიოლნი | 19 | 8 | 8 | 3 | 28-16 | 32 |
| 8.ლევერკუზენი | 20 | 8 | 3 | 9 | 31-29 | 27 |
| 9.გლადბახი | 20 | 7 | 5 | 8 | 22-27 | 26 |
| 10.ფრაიბურგი | 19 | 8 | 2 | 9 | 24-33 | 26 |
| 11.შალკე | 20 | 7 | 4 | 9 | 24-21 | 25 |
| 12.მაინცი | 20 | 7 | 4 | 9 | 29-35 | 25 |
| 13.აუგსბურგი | 20 | 6 | 6 | 8 | 18-24 | 24 |
| 14.ვოლფსბურგი | 19 | 5 | 4 | 10 | 17-27 | 19 |
| 15.ჰამბურგი | 20 | 5 | 4 | 11 | 19-35 | 19 |
| 16.ვერდერი | 20 | 4 | 4 | 12 | 24-42 | 16 |
| 17.ინგოლშტადტი | 20 | 4 | 3 | 13 | 17-32 | 15 |
| 18.დარმშტადტი | 20 | 3 | 3 | 14 | 14-39 | 12 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ვურცბურგერი-ჰაიდენჰაიმი .......... 0:2
მიუნხენ 1860-კარლსრუე ............. 2:1

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-უდინეზე ................... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 23 | 19 | 0 | 4 | 47-16 | 57 |
| 2.ნაპოლი | 24 | 15 | 6 | 3 | 57-26 | 51 |
| 3.რომა | 23 | 16 | 2 | 5 | 48-21 | 50 |
| 4.ლაციო | 23 | 13 | 4 | 6 | 41-27 | 43 |
| 5.ინტერი | 23 | 13 | 3 | 7 | 37-24 | 42 |
| 6.ატალანტა | 23 | 13 | 3 | 7 | 36-25 | 42 |
| 7.მილანი | 23 | 12 | 4 | 7 | 33-27 | 40 |
| 8.ფიორენტინა | 24 | 11 | 7 | 6 | 41-33 | 40 |
| 9.ტორინო | 23 | 8 | 8 | 7 | 40-33 | 32 |
| 10.სამპდორია | 23 | 8 | 6 | 9 | 26-29 | 30 |
| 11.კიევო | 23 | 8 | 5 | 10 | 22-30 | 29 |
| 12.უდინეზე | 24 | 8 | 5 | 11 | 27-32 | 29 |
| 13.სასუოლო | 23 | 8 | 3 | 12 | 32-37 | 27 |
| 14.ბოლონია | 23 | 7 | 6 | 10 | 22-34 | 27 |
| 15.კალიარი | 23 | 8 | 3 | 12 | 32-48 | 27 |
| 16.ჯენოა | 24 | 6 | 7 | 11 | 27-35 | 25 |
| 17.ემპოლი | 23 | 5 | 7 | 11 | 14-31 | 22 |
| 18.პალერმო | 23 | 3 | 5 | 15 | 19-42 | 14 |
| 19.კროტონე | 23 | 3 | 4 | 16 | 20-40 | 13 |
| 20.პესკარა | 23 | 1 | 6 | 16 | 19-50 | 9 |

**იტალია. სერია ბ**

ჩეზენა-ბარი ............................... 1:1
ფროზინონე-კარპი ...................... 1:0
ნოვარა-ჩიტადელა ....................... 1:1
აველინო-ვერონა ......................... 2:0
ბენევენტო-ლატინა ..................... 2:1
ბრეშა-პიზა ................................. 1:1
პრო ვერჩელი-სპეცია .................. 0:2
ასკოლი-ტრაპანი ......................... 2:2
ენტელა-სპალი ............................ 0:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

გენგამი-ლიონი ........................... 2:1
ნანსი-მონპელიე .......................... 0:3
ლილი-ანჟე ................................. 1:2
დიჟონი-კაენი ............................. 2:0
ტულუზა-ბასტია .......................... 4:1
მონაკო-მეცი ............................... 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 25 | 18 | 4 | 3 | 75-23 | 58 |
| 2.პსჟ | 25 | 17 | 4 | 4 | 50-18 | 55 |
| 3.ნიცა | 24 | 15 | 7 | 2 | 39-18 | 52 |
| 4.ლიონი | 24 | 13 | 1 | 10 | 45-29 | 40 |
| 5.სტ.ეტიენი | 24 | 9 | 9 | 6 | 26-19 | 36 |
| 6.მარსელი | 24 | 10 | 6 | 8 | 31-28 | 36 |
| 7.ბორდო | 25 | 9 | 9 | 7 | 29-31 | 36 |
| 8.გენგამი | 25 | 9 | 7 | 9 | 30-30 | 34 |
| 9.ტულუზა | 25 | 9 | 6 | 10 | 31-28 | 33 |
| 10.რენი | 24 | 8 | 8 | 8 | 23-27 | 32 |
| 11.მონპელიე | 25 | 7 | 8 | 10 | 36-42 | 29 |
| 12.დიჟონი | 25 | 6 | 9 | 10 | 34-37 | 27 |
| 13.ანჟე | 25 | 7 | 6 | 12 | 21-33 | 27 |
| 14.ნანსი | 24 | 7 | 6 | 11 | 18-32 | 27 |
| 15.მეცი | 24 | 8 | 5 | 11 | 24-44 | 27 |
| 16.ლილი | 25 | 7 | 5 | 13 | 23-32 | 26 |
| 17.ნანტი | 23 | 7 | 5 | 11 | 15-31 | 26 |
| 18.კაენი | 24 | 7 | 4 | 13 | 25-42 | 25 |
| 19.ბასტია | 24 | 5 | 7 | 12 | 21-32 | 22 |
| 20.ლორიანი | 24 | 6 | 4 | 14 | 27-47 | 22 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

რეიმსი-სოშო .............................. 0:1

**ჰოლანდია. ეკედივიზიონი**

ერაკლესი-როდა .......................... 2:2
იგლზი-დენ ჰააგი ........................ 3:1
ფეიენოორდი-გრონინგენი ............ 2:0
ვიტესი-ტილბურგი ....................... 0:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ტონდელა-ფეირენზე ..................... 0:1
სეტუბალი-შავიში ........................ 0:0
ეშტორილი-ფერეირა ................... 2:1
გიმარაეში-პორტუ ........................ 0:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დანდი-კილმანროკი ...................... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

თუნი-ბაზელი .............................. 0:2
ლუგანო-გრასჰოპერსი ................ 3:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ალტახი ........................... 1:1
ვოლფსბერგერი-რიდი ................. 1:0
მატერსბურგი-შტურმი ................ 1:0
ზალცბურგი-სტ.პოლტენი ............. 2:0

**ბელგია. 1 დივიზიონი**

მუსკრონი-ოსტენდე .................... 1:2
კორტრაიკი-მეხელენი .................. 0:2
შარლერუა-ვესტერლო ................. 2:1
გენტი-ეუპენი ............................. 0:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვერია-პანიონიოსი ....................... 0:1
ასტერასი-ატრომიტოსი ............... 0:1
ოლიმპიაკოსი-ლარისა ................. 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალანია-გენჩლერი ....................... 3:0
ოსმანლი-ტრაბზონი .................... 0:1
ბურსა-ფენერბახჩე ...................... 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვისლა-კორონა ........................... 2:0
არკა-ლეგია ................................ 0:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა არის თიაქარი

ეკა ირემაშვილი

თიაქარი შეიძლება გაჩნდეს მაშინ, როცა მუცლის ღრუში წნევა იწევს. ხველა, ჭინთვა, წონაში მკვეთრი კლება, სიმძიმეების აწევა – ესენი ის ძირითადი რისკფაქტორებია, რომელთა დროსაც თიაქარი შეიძლება გაჩნდეს. რა თქმა უნდა, ამ დროს გენეტიკასაც თავისი დატვირთვა აქვს.

რა არის თიაქარი, შეიძლება თუ არა ოპერაციის გარეშე მისი მკურნალობა და ვის შეიძლება განუვითარდეს თიაქარი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ლომიძე ესაუბრა.

**ნოდარ ლომიძე:**

– არსებობს შიდა თიაქარი და თიაქარი, რომელიც არის გარეთ. ეს არის ძირითადად საზარდულის თიაქარი, ბარძაყის თიაქარი. ქალებში უფრო ხშირია ბარძაყის თიაქარი, მამაკაცებში კი – საზარდულის თიაქარი. ასევე არსებობს პოსტოპერაციული ვენტრალური თიაქარი, რომელიც პრაქტიკულად არის მუცლის წინა კედელზე არსებული გამობერილობა. ეს გამობერილობა დასაწყისში მსუბუქი ზეწოლით ან ჰორიზონტალური მდგომარეობის მიღების შემთხვევაში თავისუფლად ჩადის მუცლის ღრუში, მაგრამ, თუ თიაქარი დროში ძალიან გაიჭიმა, შესაძლებელია, თიაქრის პარკისა და ორგანოს, რომელიც გამოდის მუცლიდან, შეხორცება განვითარდეს და მაშინ ეს თიაქარი ანუ გამობერილობა, რომელიც გარეთაა, არც მსუბუქი ზეწოლით და არც ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ყოფნისას უკან არ ბრუნდება.

***– ანუ იჭედება?***

– გაჭედვა კიდევ სხვაა. ყოველთვის ამბობენ, რომ თიაქარი დროზე უნდა იქნეს მოშორებული, იმიტომ რომ თიაქარს აქვს ჩაჭედვის საშიშროება. თიაქარი, რომელიც არ ბრუნდება უკან და ჩაჭედილი თიაქარი ერთმანეთისგან განსხვავდება. მართალია, ჩაჭედილი თიაქარიც არ ბრუნდება და შეუსწორებელი თიაქარიც არ ბრუნდება უკან, ასევე ჩაჭედილ თიაქარსაც აქვს ტკივილი და ამ დროს ადამიანმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რგოლი, რომელიც უჭერს, შეიძლება, დიდი ალბათობით, თუ მასში ნაწლავია, მას მოუჭიროს, ნაწლავში სისხლის მომარაგება გაჩერდება და განვითარდება ნეკროზი, ანუ, გლეხურ ენაზე რომ ვთქვათ, ნაწლავი მოკვდება.

***– რა ხდება ამ დროს?***

– ამ დროს ადამიანს სჭირდება არა მარტო თიაქრის, არამედ უფრო დიდი მოცულობის ოპერაციაც. თუ ნაწლავი არ მოკვდა და გაიჭედა, შეიძლება განვითარდეს გაუვალობა და მაინც სასწრაფო საოპერაციოა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, თიაქრის პროფილაქტიკის მიზნით აუცილებლად გაკეთდეს ოპერაცია, სანამ ის გადავა შეუსწორებელში ან ჩაეჭედება. შეუსწორებელი თიაქარიც დროთა განმავლობაში ჩაიჭედება. ამიტომ თიაქარი ყველა ვარიანტში საჭიროებს ოპერაციას.

***– რა ასაკში შეიძლება დაემართოს ადამიანს თიაქარი?***

– არ აქვს ასაკს ამ დროს მნიშვნელობა. რადგან ვარ მოზრდილთა ქირურგი, ვსაუბრობ მოზრდილებზე, თუმცა ბავშვთა ასაკშიც ვითარდება. შეიძლება, თიაქარი იყოს თანდაყოლილი და შეძენილი. სტუდენტებს ასწავლიან და ყველა მოსახლემ უნდა იცოდეს, რომ თიაქრის პროფილაქტიკა არის ოპერაცია. თიაქარი თავისით არ განიკურნება. ზღაპარი და გამორიცხული ვარიანტია იმის ლოდინი, რომ თვითონ ჩაჯდება ან პირვანდელ ადგილს დაუბრუნდება.

***– ხშირად თიაქრის დროს ბანდაჟებს ხმარობენ. ეს სწორია?***

– ბანდაჟი კიდევ უფრო უარესია. ის თიაქრის მოცულობას ზრდის, უხეშ ნაწიბურს აჩენს და ეს ოპერაციის დროს დამატებით პრობლემებს აჩენს. თიაქარს არაფერი შველის. თუ ადამიანს გულის პრობლემები აქვს, აუცილებლად უნდა მივიდეს ექიმთან და ერთად დაგეგმონ თიაქრის ოპერაცია ისე, რომ მაქსიმალურად უსაფრთხო იყოს პაციენტისთვის. თიაქრის ოპერაცია შესაძლებელია გაკეთდეს ადგილობრივი, სპინალური ან ზოგადი გაუტკივარებით. თუ ავადმყოფს რაიმე გართულება აქვს, ამის მიხედვით ხდება შერჩევა, ანესთეზიის რა სახეობა იქნეს გაკეთებული.

***– რისგან შეიძლება გაჩნდეს თიაქარი?***

– რიკსჯგუფია პირველ რიგში – ხშირი ხველა. მშობიარობა, ჭინთვები – კაცს, რომელსაც აქვს ყაბზობა და იჭინთება. წონაში მკვეთრი დაკლება – ესეც ხელს უწყობს და, რა თქმა უნდა, არასწორი ცხოვრების რეჟიმი. ამაში იგულისხმება სიმძიმეების აწევა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოპერაციის შემდეგ მან ხელში აბსოლუტურად არაფერი დაიჭიროს. უნდა გაუფრთხილდეს თავს და უნდა იცოდეს, რისი აწევის უფლება აქვს, რომ თიაქრის გაჩენის რისკი ისევ არ გაჩნდეს. თიაქარი შეიძლება გაჩნდეს მაშინ, როცა მუცლის ღრუში წნევა იწევს. რა თქმა უნდა, გენეტიკასაც აქვს თავისი დატვირთვა.



ნოდარ ლომიძე

***– შეიძლება, თიაქარი განმეორდეს?***

– რა თქმა უნდა. წესით, არ უნდა განმეორდეს, მაგრამ არსებობს გარკვეული პროცენტი რეციდივისა. ეს არის მსოფლიო სტანდარტი. გააჩნია, რა ოპერაცია კეთდება. თუმცა, რა ოპერაციაც არ უნდა გაკეთდეს, რეციდივის განვითარების ალბათობა არის. ამ რეციდივში გარკვეულად მონაწილეობს პლასტიკა – როგორ არის ოპერაცია გაკეთებული, ბადით თუ ბადის გარეშე და თვითონ ავადმყოფი ოპერაციის მერე როგორ უვლის თავს. ეს არის პირველ ადგილზე. თუ ავადმყოფი თავს არ უვლის და ყველა ის მიზეზი დარჩა, რის გამოც თიაქარი გაჩნდა, დიდი ალბათობით, გაჩნდება რეციდივი.

***– ქალებს უფრო ხშირად ემართებათ თიაქარი თუ მამაკაცებს?***

– პროცენტულად მაჩვენებელი თანაბარია, უბრალოდ, ბარძაყის თიაქარი ქალებს უფრო ხშირად უჩნდებათ და საზარდულის თიაქარი – მამაკაცებს უფრო ხშირად.

***– დროულად მოდიან თქვენთან?***

– ბევრი რამ განათლებასა და თვითშეგნებაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი თიაქარი დროთა განმავლობაში უფრო მეტ დისკომფორტს იწვევს, ავადმყოფს საზოგადოებაში უჭირს, იმიტომ რომ გამობერილობა აქვს, იმიტომ რომ ხშირად ეჭედება, ამიტომ უნდა მოიცილოს. ყველაზე მთავარი ის არის, რომ არის რისკი ჩაჭედვის, რაც იმას ნიშნავს, რომ სადაც არ უნდა იყოს ავადმყოფი, უნდა მიმართოს სპეციალისტს და გაიკეთოს ოპერაცია.

***– რას გვეტყვით ოპერაციის დროს გამოყენებულ პლასტიკებთან დაკავშირებით?***

– პლასტიკა სხვადასხვანაირია. დღეს პლასტიკის ძალიან ბევრი მეთოდია, მაგრამ, ამავდროულად, მიღებულია ოქროს სტანდარტი, რომლითაც კეთდება ეს პლასტიკები. საზარდულის თიაქრის დროს ეს არის დაუჭიმავი თიაქარპლასტიკა ლიხტენშტეინის წესით, ანუ, როგორც ეძახიან, ბადის გამოყენებით. მეორეა ბადის გამოყენების გარეშე, შოლდაისის წესით. ეს უკვე ავადმყოფის თიაქარზეა დამოკიდებული, რა მოცულობისაა.

ვენტრალური თიაქრების, ანუ დიდი თიაქრების დროსაც, უმრავლეს შემთხვევაში, თუ ის დაგვიანებულია, კეთდება მუცლის წინა კედლის რეკონსტრუქცია და ძალიან ხშირად იყენებენ ბადეებს. ამ ბადეებსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ ნებისმიერი ბადე უცხო სხეულია. აქედან გამომდინარე, ზოგი ფიქრობს, რომ ბადე სიმტკიცეზეა დამოკიდებული. პირველ რიგში, ბადე უნდა იყოს ბიოლოგიურად ინერტული, ანუ ქსოვილის რეაქცია არ უნდა გამოიწვიოს. თუ ქსოვილის რეაქცია იქნება, მაშინ გროვდება სითხე, რომელიც აუცილებლად მოსაცილებელია. ამ შემთხვევაში ბადის ხარისხზეა საუბარი. ხარისხი განსაზღვრავს ფასს. ზოგი დაბალფასიანია, ზოგი – მაღალფასიანი. რაც უფრო მეტად ბიოლოგიურად ინერტული ბადე იქნება შერჩეული, მით უკეთესია პაციენტისთვის, რადგან სითხის დაგროვების შანსი ნაკლებია. ბადის არჩევის დროსაც მის ხარისხს უნდა მიექცეს ყურადღება.

***– რამდენად უსაფრთხოა ეს ოპერაცია?***

– ნებისმიერი ოპერაცია დაკავშირებულია საფრთხესთან. არცერთი ოპერაცია არ არსებობს საფრთხის გარეშე. შედარებისთვის, ქუჩაზე გადასვლაც საფრთხეს შეიცავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქუჩაზე არ უნდა გადავიდეთ. თუ თიაქარი კეთდება დროულად და არ მივა ჩაჭედვამდე, გართულების რისკი, რა თქმა უნდა, უფრო ნაკლებია, ამიტომ პაციენტებმა სპეციალისტს დროულად უნდა მიმართონ.

## კალეიდოსკოპი

### იტალიურ პარკში ტრამპის მარმარილოს ქანდაკებას დადგამენ



იტალიის ქალაქ ვალი-სოტოში აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მარმარილოს ქანდაკებას დადგამენ. ამ ინფორმაციას ბი-ბი-სი ნიუსი ავრცელებს.

ქალაქის მერმა მარიო პულიამ განაცხადა, რომ ქანდაკებაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. ის დაიდგმება პატივისცემისა და უპატივცემულობის პარკში, რომელიც ქალაქის ღირსშესანიშნაობადაა მიჩნეული. იტალიელი და ამერიკელი კერძო პირები მზად არიან, მის შექმნას 100 ათასი ევრო შესწირონ.

მარიო პულიას თქმით, ისტორია გადაწყვეტს, ამერიკის პრეზიდენტის ქმედებები პატივისცემის ღირსი იქნება თუ უპატივცემულობის.

– ტრამპი წინასაარჩევნოდ მიცემულ დაპირებებს ასრულებს, ეს კი მნიშვნელოვანია, – აღნიშნა ქალაქის მერმა, – მან დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვა და ქვეყნის მართვის სრული უფლება აქვს.

პარკში, სადაც აშშ-ის პრეზიდენტის მარმარილოს ქანდაკება უნდა აღიმართოს, უკვე დგას საფრანგეთში დაღუპული პოლიციელი ძაღლის ძეგლი, ასევე ქანდაკებები, რომლებიც საკრუიზო ხომალდის კოსტა კონკორდიას დაღუპვას ასახავს. ერთი ქანდაკება განასახიერებს კურდღლისყურებიან გემის კაპიტანს, რომელიც ხომალდიდან გარბის, მეორე კი – სანაპირო დაცვის თანამშრომელს, რომელიც მას გემზე დაბრუნებისკენ მოუწოდებს.

## ასტროპროგნოზი

### 13 თებერვლისთვის



**ვერძი** – შრომის ნაყოფიერება იზრდება. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მარტივად მიიღებთ და არც შეცდებით. **კურო** – დღის პირველ ნახევარში დიდია მოტყუების ალბათობა. პასუხისმგებლობას ნუ გაექცევით. **ტყუპები** – ჰარმონიული დღეა. ვარსკვლავები თქვენს სიმშვიდეზე ზრუნავენ. დღეს, სავარაუდოდ, ერთდროულად რამდენიმე საკითხის მოგვარება მოგიწევთ. **კირჩხიბი** – კეთილისმყოფელი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად. ძველი წყენა მალე დაგავიწყდებათ. **ლომი** – მზარდი სასიცოცხლო პოტენციალი თქვენს პირად ცხოვრებაზე სასიკეთოდ აისახება. ახალი ნაცნობობა გაამართლებს. **ქალწული** – ნებისმიერ სფეროში ტალანტის წარმოჩენის საშუალება გეძლევათ. ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – მეგობრებთან ურთიერთობისათვის. **სასწორი** – პარტნიორთან მიმართებით დიდი სიფრთხილე გამოიჩინეთ. რთულდება ურთიერთობა მეგობრებთან ან ნათესავებთან. **ღრიანკალი** – სასარგებლო ინფორმაცია სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ. იღბლიანი დღეა. **მშვილდოსანი** – მიენდეთ ინტუიციას, რომელიც დღეს განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ. თავი შეიკავეთ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან. **თხის რქა** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. ძალზე სასარგებლოა ჯგუფური საქმიანობა. **მერწყული** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ტრავმების მიღების ალბათობა დიდია. უმჯობესია, თუ სახლში დარჩებით და დაისვენებთ. **თევზები** – პირად ცხოვრებაში გიმართლებთ. თამამად იმოქმედეთ. იყავით გულწრფელი და მიმნდობი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## აშშ-ში შოკოლადის დეგუსტატორის ვაკანსია გაიხსნა



კომპანიაMondelez International-მა რომლის შტაბ-ბინაც ნიუ ჯერსის შტატში მდებარეობს, შოკოლადის დეგუსტატორის ვაკანსია გახსნა. განცხადება არასრული სამუშაო დღით თანამშრომლის მიღების თაობაზე სოციალურ ქსელში გამოჩნდა.

კანდიდატის მიმართ მოთხოვნებს შორისაა კომუნიკაბელურობა და ინგლისური ენის ცოდნა. ის ვალდებულია, პროდუქციას პატიოსანი და ობიექტური შეფასება მისცეს, შეადაროს ისინი, მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში და ა.შ. ამგვარად, დეგუსტატორმა კომპანიის პროდუქციის საგემოვნო ხარისხის გაუმჯობესებაზე უნდა იმუშაოს.

აღნიშნული კომპანია, რომელიც კვების პროდუქტებს, ყავასა და ხსნად სასმელებს აწარმოებს, 2012 წლის ივნისში შეიქმნა ფირმა კრაფთ ფუდსისგან გამოყოფის შედეგად. კომპანიის შოკოლადის პროდუქტებს შორისაა: მილკა, ლაქტა, ალპენ გოლდი და ა.შ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი



1. მექანიკური საკრავი; 2. ცივი იარაღი (საჯიგველი); 3. ბატონო (ინგლისურად); 4. ჭურვის მოძრაობის შემსწავლელი მეცნიერება; 5. რვიანის ფორმის ნამცხვარი; 6. იაპონელთა ჯიბის კოლოფი; 7. საანგარიშო დაფა ძველად; 8. ჭადრაკის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში; 10. მტაცებელი ფრინველი; 11. მერყევი, არამდგრადი; 12. მსოფლიო მიზიდულობა; 13. ცეცხლის ანადენი; 14. აკადემიკოსი... ზავრიევი; 15. ცარიელი აკლდამა; 16. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 17. ნოტი; 18. რომის პაპთან არსებული ადმინისტრაციული ორგანო; 19. სიტყვაში ასოების გადასმა სხვა სიტყვის მისაღებად; 20. ძველებური ინგლისური ოქროს ფული; 21. სახელმწიფო აფრიკაში; 22. საზღვრისპირა სოფელი აჭარაში; 23. საფორტეპიანო ან სხვა კონცერტის ვირტუოზული ეპიზოდი, რომელსაც სოლისტი ორკესტრის გარეშე ასრულებს; 24. ბუნებრივი საღებავი; 25. სოფელი თელავის რაიონში; 26. მაუგლის მეგობარი გველი; 27. სახელმწიფოს ფულადი შემწეობა მოხუცებსა და ინვალიდებს; 28. უარყოფითი ნაწილაკი; 29. სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში; 30. დედმამიშვილი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „არსი“; 2. კოლტი; 3. ომეგა; 4. ბედია; 5. ტულუზა; 6. ტოპონიმი; 8. პორტუგალია; 10. სერვანტესი; 11. იეროგლიფი; 14. აბორტი; 15. არმაზი.

**თარაზულად:** 1. ავოკადო; 4. ბატიბუტი; 7. სპილო; 9. ტაქსა; 12. თაგორი; 13. გრევე; 14. არმანი; 17. ფაველა; 18. კლეპტომანია; 19. პანკისი; 20. ბონსაი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ორლი“; 2. ნუჟრი; 3. იმოლა; 4. გარდა; 5. „მწვანე“; 6. ინჟინერი; 8. მანჯგალაძე; 10. კრიმანჭული; 11. სამეგრელო; 14. ხვიჩია; 15. ჰაშიში; 16. ზვარე.

**თარაზულად:** 1. ოწინარი; 4. გამბუზია; 7. ლიეჟი; 9. კაფკა; 12. „მერსიე“; 13. უნცია; 14. ხიხანი; 17. პლევრა; 18. ილუმინატორი; 19. მერდოკი; 20. შეკელი.

## აშშ-ში ყველაზე ასაკოვანი აკვარიუმის თევზი მოკვდა



ამერიკის ქალაქ ჩიკაგოს ოკეანერიუმში მსოფლიოში ყველაზე ასაკოვანი აკვარიუმის ბინადარი თევზი მოკვდა. თევზის, სახელად გრანდადის ასაკი 90 წელს აღემატებოდა.

გასულ კვირას თევზმა, რომელიც 11 კილოგრამს იწონიდა, მადა დაკარგა. სპეციალისტების მიერ გასინჯვის შემდეგ გამოირკვა, რომ მისი შიდა ორგანოები აღარ ფუნქციონირებდა. დაწესებულების თანამშრომლები დარწმუნებულნი არიან, რომ მას ცოტა დააკლდა იმისთვის, რომ ასი წლის გამხდარიყო.

თევზი ჩიკაგოს აკვარიუმში 1933 წელს ავსტრალიიდან ჩამოიყვანეს. ამ ხნის განმავლობაში მისი ნახვა 100 მილიონზე მეტმა ადამიანმა მოასწრო.

## სან-ფრანცისკოს მეტროს დამლაგებელმა 271 ათასი დოლარი გამოიმუშავა



ერთ-ერთმა კალიფორნიულმა ორგანიზაციამ გამოარკვია, რომ ქალაქ სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი მეტროს სადგურის დამლაგებელმა ერთი წლის განმავლობაში 270 ათას დოლარზე მეტი გამოიმუშავა.

2015 წელს ლიან ჩჟაო ჩჟანის ოფიციალურმა ხელფასმა, რომელიც მეტროს სადგურ პაუელ-სტრიტის სისუფთავეზე ზრუნავს, დაახლოებით 58 ათასი დოლარი შეადგინა. გარდა ამისა, მან ზენორმატიული სამუშაოსთვის 162 ათას დოლარზე მეტი მიიღო. ბონუსებისა და წამახალისებელი ანაზღაურების გათვალისწინებით კი დამლაგებლის შემოსავალმა 271.243 დოლარი შეადგინა.

კალიფორნიულ ორგანიზაციაში გამოარკვიეს, რომ, ჩჟანის საბუთების თანახმად, ის ყოველდღე დადიოდა სამსახურში, მათ შორის დასვენების, დღესასწაულების დღეებშიც და შვებულებაში ყოფნის დროსაც. სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობა 17 საათს შეადგენდა.

სან-ფრანცისკოს სწრაფი გადაზიდვების სამსახურის დირექტორმა როი აგილერამ განმარტა, რომ მეტროს სადგური პაუელ-სტრიტი უსახლკაროთა თავშეყრის ადგილია. ასე რომ დამლაგებელს საქმე საკმარისად აქვს. მისი თქმით, ჩჟანი ასრულებდა ყველა იმ საქმეს, რომელთა შესრულებაც ევალებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დღის კალენდარი

### 13 თებერვალი



### საეკლესიო კალენდარი

ხორციელის შვიდეული.

უვერცხლოთა მოწამეთა კვიროსისა და იოანესი და მათთანა მოწამეთა: ათანასიასი და ასულთა მისთა: თეოდოტიასი, თეოქტისტასი და ევდოქსიასი (311); მოწამეთა: ბიქტორინესი, ბიქტორისა, ნიკიფორესი, კლავდისა, დიოდორესი, სერაპიონისა და პაპიანესი (251); მოწამისა ტრიფენა კვიზიკელისა.

### დაიბადნენ:

1754 – ტალეირანი, საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. გარდაიცვალა 1838 წელს.

1852 – ნიკო ლომოური, ხალხოსანი მწერალი. გარდაიცვალა 1915 წელს.

1873 – ფიოდორ შალიაპინი, რუსი მომღერალი, რეჟისორი. გარდაიცვალა 1938 წელს.

1883 – ევგენი ვახტანგოვი, რუსეთელი რეჟისორი, მსახიობი. გარდაიცვალა 1922 წელს.

1903 – ჟორჟ სიმენონი, დეტექტიური რომანების ცნობილი ავტორი. გარდაიცვალა 1989 წელს.

1903 – გიორგი ბერიაშვილი-ბერიევი, ავიაკონსტრუქტორი. გარდაიცვალა 1979 წელს.

1910 – უილიამ შოკლი, ამერიკელი ფიზიკოსი. აღმოაჩინა ტრანზისტორული ეფექტი, რისთვისაც 1956 წელს ნობელის პრემია მიენიჭა. გარდაიცვალა 1989 წელს.

1933 – მურთაზ ბაკურია – ქართველი ფილოსოფოსი

1961 – ჰენრი როლინზი – ამერიკელი მუსიკოსი, მსახიობი და კომიკოსი.

1974 – რობი უილიამსი – ინგლისელი მომღერალი.

### გარდაიცვალნენ:

1571 – ბენვენუტო ჩელინი, დიდი იტალიელი მოქანდაკე და ოქრომჭედელი. განსაკუთრებით ცნობილია მისი ავტობიოგრაფიული წიგნი „ბენვენუტო ჩელინის ცხოვრება მის მიერვე დაწერილი“.

1882 – ანრი ოგიუსტ ბარბიე, ფრანგი პოეტი.

1883 – რიხარდ ვაგნერი, გერმანელი კომპოზიტორი.

1952 – ალფრედ აინშტაინი, გერმანელი მუსიკის ისტორიკოსი და კრიტიკოსი.

### მოვლენები:

1895 – ლუი და ავგუსტ ლიუმიერებმა შექმნეს პირველი კინოაპარატი.

1946 – პენტაგონმა განაცხადი გააკეთა პირველი ციფრული კომპიუტერის შექმნის შესახებ.

1975 – კიპროსი ორ ნაწილად გაიყო. ჩრდილოეთ კიპროსი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – კიპროსის თურქულ რესპუბლიკად გამოცხადდა.

1979 – ევროპაში დაიწყო უშიშროებისა და თანამშრომლობის 35 წევრი სახელმწიფოს ექსპერტთა შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა ხმელთაშუაზღვისპირეთში ეკონომიკური, სამეცნიერო და კულტურული თანამშრომლობის საკითხებს.

1980 – ლეიკ-პლესიდში (აშშ) დაიწყო ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები.

### ღირსსახსოვარი დღე:

მარიანის კუნძულები – პრეზიდენტის დღე

**მედიანიუსი**

## დაჩი კოპაძე დაქორწინდა



მორაგბე დაჩი კოპაძე, რომელიც საზოგადოებამ მუსიკალურ პროექტ „ორი ვარსკვლავით“ გაიცნო, დაქორწინდა.

დაჩი პროექტში მონაწილეობის დროს საზოგადოებამ ერთ-ერთი ინტერვიუთი დაიმახსოვრა, სადაც მან ჟურნალისტს განუცხადა, რომ მას მეუღლე მოკლე კაბით სიარულს ვერ გაუბედავდა.

ამ ფრაზის გამო დაჩი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, ბევრმა დასცინა და მიწასთან გაასწორა. მიუხედავად იმისა, რომ სპორტსმენმა არაერთხელ ცადა თავის გამართლება, თავისი ნათქვამის შესწორება და ჟურნალისტი მისი ფრაზის არასწორ ინტერპრეტირებაში დაადანაშაულა, საზოგადოების გული დაჩიმ მაინც ვერ მოიგო. ამის შემდეგ სპორტსმენს ინტერვიუ არავისთვის აღარ მიუცია.

დაჩი კოპაძის რჩეული ლიკა არველაძეა. დაჩი და ლიკა ერთმანეთს წლების განმავლობაში ხვდებოდნენ და საბოლოოდ ოჯახის შექმნა და ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს.

ამ ინფორმაციის გავრცელებამ საზოგადოებაში ახალი ვნებათაღელვა გამოიწვია. ინტერნეტში უკვე აქტიურად განიხილავენ საკითხს, რომ სპორტსმენი, რომელსაც მოკლე კაბის ჩაცმას ვერავინ გაუბედავდა, შვილიან ქალზე დაქორწინდა.

## „ა სტუდიოს“ ახალი კლიპი აქვს



25-წლიან ჯგუფ „ა სტუდიოს“ ახალი კლიპი აქვს. „მხოლოდ შენთან“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომელიც ჯგუფისთვის იგორ კრუტოიმ დაწერა.

სიმღერაზე, რომელიც ჯგუფმა და მისმა ვოკალისტმა ქეთა თოფურიამ ჩაწერეს, ვიდეორგოლი რეჟისორმა ევგენი კურიცინმა გადაიღო. გადაღებები ღია ცის ქვეშ თოვლში, სიცივესა და ყინვაში მიმდინარეობდა.

ახალი ვიდეორგოლისთვის ქეთამ იმიჯი რადიკალურად შეიცვალა, ტუჩზე პირსინგი გაიკეთა და ნაწნავებიც მოირგო.

„ა სტუდიოს“ ახალი კლიპი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და მას ათასობით მოწონება, კომენტარი და გაზიარება აქვს.

## საქართველოში გადაღებული ინდური ფილმის პრემიერა მუმბაიში გაიმართება



ბოლო პერიოდში ბოლივუდი საქართველოთი აქტიურად დაინტერესდა და თავის ახალ ფილმებს ჩვენს ქვეყანაში იღებს.

ინდურ კინოინდუსტრიაში ცნობილი რეჟისორები და პროდიუსერები საქართველოში ფილმების გადასაღებად პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში ჩამოდიან. კინოინდუსტრიის წახალისების პროგრამის მიზანია, საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში მიმზიდველ გადასაღებ ცენტრად იქცეს და დიდი კინომწარმოებლების ყურადღება მიიპყროს.

„მაჩინე“ – ასე ეწოდება ახალ ინდურ ფილმს, რომელიც კლასიკური სასიყვარულო დრამაა და მთლიანად საქართველოშია გადაღებული.

ბათუმი, ბორჯომი, რაბათი, მცხეთა – ეს ის ადგილებია, სადაც ბოლივუდისთვის კიდევ ერთი ახალი ფილმი შეიქმნა.

ფილმის ოფიციალური თრეილერი უკვე გამოვიდა და ინტერნეტშიც გავრცელდა. მისი პრემიერა 24 მარტს მუმბაიშია დაგეგმილი.

## ახალგაზრდა რეჟისორის დასახმარებლად მეგობრები ერთიანდებიან



ახალგაზრდა რეჟისორის რატი გომართელის გადასარჩენად მისი მეგობრები ერთიანდებიან. რეჟისორები, ჟურნალისტები, ფოტოხელოვანები, ტელეწამყვანები, მხატვრები, მსახიობები, მომღერლები მისთვის საჭირო თანხის მოგროვებას ყველანაირი გზებით ცდილობენ.

რატის, რომელიც პირველი ჯგუფის ინვალიდია, 20 წელია აქვს ძალიან რთულად სამართავი ინსულინდამოკიდებული დიაბეტი. ამ ავადმყოფობის ფონზე განუვითარდა თირკმლის უკმარისობა და უკვე 8 თვეა, დიალიზზეა, ასევე, სრულიად შემთხვევით გამოუვლინდა ფილტვის ტუბერკულოზი და ცე ჰეპატიტის არააქტიური ფორმა.

ტუბერკულოზი უკვე ნამკურნალევია და მორჩენილი აქვს, მაგრამ ხანგრძლივი დიალიზი, დიდი ალბათობით, ისევ გაააქტიურებს მას, ცე ჰეპატიტის მკურნალობა ამ ავადმყოფობების ფონზე კი შეუძლებელია.

ექიმების რეკომენდაციით, რატის სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი გზა სასწრაფო ოპერაცია, თირკმლისა და პანკრეასის ერთდროული გადანერგვაა.

პანკრეასის გადანერგვა გვამური დონორიდან საქართველოში არ კეთდება, უცხოეთში კი მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეობაა აუცილებელი. ამიტომ, ორივე ორგანოს დონორი რატის დედა, ნინო ერქომაიშვილი იქნება.

ნინომ უკვე ჩაიტარა აუცილებელი გამოკვლევები და მზადაა საოპერაციოდ, მაგრამ ცოცხალი დონორიდან პანკრეასის ტრანსპლანტაციის ჩატარება მხოლოდ შვეიცარიაში, ჟენევის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალშია შესაძლებელი.

მეგობრებისა და კოლეგების მიერ მუდმივად ტარდება სხვადასხვა საქველმოქმედო აქცია, მაგრამ ოპერაციისთვის საჭირო თანხის შეგროვებას ჯერ კიდევ ბევრი აკლია.

ახალგაზრდა რეჟისორის გამოჯანმრთელებას 170.000 დოლარი სჭირდება.

რატი გომართელის დასახმარებლად სპეციალური ანგარიში საქართველოს ბანკშია გახსნილი.

## რეზო გიგინეიშვილის „მძევლების“ პრემიერა ბერლინალეზე შედგება




რეზო გიგინეიშვილის ახალი ფილმის „მძევლების“ პრემიერა ბერლინალეს საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგება.

ოფიციალურ პრემიერამდე ფილმის ერთი წინასწარი ჩვენება უკვე გაიმართა, 15 თებერვალს კი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კინოფესტივალზე ქართველი რეჟისორის ახალ ნამუშევარს მსოფლიო კინოინდუსტრიის წარმომადგენლები შეაფასებენ.

„მძევლები“ 1983 წლის ნოემბერში მომხდარ რეალურ ამბავზე – თვითმფრინავის გატაცებაზეა, რომელსაც ქართველი საზოგადოება თვითმფრინავის ბიჭების ისტორიის სახელით იცნობს.

ფილმი საქართველოს, რუსეთისა და პოლონეთის ერთობლივი ნამუშევარია. სცენარის ავტორები რეზო გიგინეიშვილი და ლაშა ბუღაძე არიან. ფილმში გია ყანჩელის მუსიკა ჟღერს.

რეზო გიგინეიშვილის ფილმში მონაწილეობენ მერაბ ნინიძე, ირაკლი კვირიკაძე, თინა დალაქიშვილი, გიორგი ხურცილავა, დარეჯან ხარშილაძე, ვახტანგ ჩაჩანიძე...

ფილმის მსოფლიო პრემიერამდე „მძევლებს“ ერთ-ერთმა გავლენიანმა უცხოურმა გამოცემამ საინტერესო კრიტიკული მიმოხილვა მიუძღვნა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

### ორშაბათი 13 თებერვალი

**07.00** დოკ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **08.00** ანიმაცია."ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00**"მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 01.40** "x სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 02.40** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** ტ/სერ "**მთავრობა** **00.00** მხ/ფ "**რეალობა იკბინება**"

**08.00** დ/ფ " ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" **09.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **10.00** მხ/ფ "**ტურის დღე**" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვრდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**მშვიდობით გარი**"

**06.30, 16.00** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.20** მხ/ფ "**არეულობა**" **00.25** მხ/ფ "**ბრუკლინელი პოლიციელები**" **02.50** მხ/ფ "**სამი ცხრიანი**"

**06.00, 18.50, 20.03** სერ. "**ოქროს გალია**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **22.00** ქ.მხ/ფ "**მოირა**" **00.00** სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "**აგენტი ფაფი**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **18.00** სერ. "**სკანდალი**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** მხ/ფ "**უკანასკნელი სიმღერა**" **01.55** მხ/ფ "**თავისუფლების დევნაში**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-მადლმოსილი მღვდელმთავარი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ "**მაგდანას ლურჯა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ბატიკა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** სპექტაკლი "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ბიბლია ბავშვებისათვის **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.40** ძილი ნებისა "სამი მტევანი ყურძენი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** პატერიკი-ვერცხლისმოყვარეობით შეპყრობილის განკურნება **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.20** დ/ფ "შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული საუნჯე" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "წებელდა" **01.00** სათავეებთან "სულხან-საბა ორბელიანი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.30** ანიმაცია "მაშა და დათვი" **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" **14.30, 15.30** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 20.55** სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.45** სერ. "**ცხოვრება, რომელიც არ ყოფილა**" **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 თებერვლისთვის

- აშშ დოლარი — 2.6223
- ევრო — 2.7907
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2771
- 100 რუსული რუბლი — 4.4682

## ამინდის პროგნოზი 13 თებერვლისთვის








## 14 თებერვლიდან

რევაზ მიშველაძე

### ჩურჩულს გადაჩვეული კაცი

მაგარი ყდა, 826 გვერდი

რევაზ მიშველაძის ეს რომანი 2010 წელს მიჩნეულ იქნა წლის საუკეთესო რომანად.

მასში მოთხრობილია საქართველოს ბოლო პერიოდის ცხოვრება – 9 აპრილი, ეროვნული მოძრაობა, 1993 და 2008 წლების ომები რუსეთის წინააღმდეგ.

ნაწარმოებში არის სიყვარულის დრამატული ისტორიაც და ჩაძინებული საქართველოს გაღვიძების ავტორისეული სურვილიც. ზოგი პერსონაჟი თავისი გვარითაა წარმოდგენილი, ზოგი კი – იმგვარი მინიშნებით, მკითხველს ამოცნობა რომ არ გაუჭირდება.

ფასი გაზეთთან ერთად 13 ლარი

## 10 თებერვლიდან

თედორე დოსტოევსკი

### მკვდარი სახლის ჩანაწერები




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## 13 თებერვლიდან




ევგენი ჯუღაშვილი

### პაპაჩემი სტალინი

ეს წიგნი წარმოადგენს სენსაციურ მემუარებს, რომელიც შუქს ჰფენს კრემლისა და ოჯახის საიდუმლოებებს.

ევგენი ჯუღაშვილი იოსებ სტალინის 8 შვილიშვილიდან ერთადერთია, რომელიც თავისი პაპის თანამოაზრეა.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ვინ არის ის ქალი და სად მიგყავს?

– ჩემი სიდედრია და სადგურზე უნდა გავაცილო.

– რა, თვითონ ვერ მიაგნებს სადგურს?

– უბრალოდ, მინდა, დარწმუნებული ვიყო, რომ ნამდვილად გაემგზავრა.

•••

ბავშვი დედას ეკითხება:

– ვინ იყო მამაჩემი?

– თოვლის პაპა, შვილო.

– ეგ როგორ?

– როგორ და... მოვიდა ღამით, საჩუქარი დამიტოვა და იმის შემდეგ აღარ გამოჩენილა.

•••

მამაკაცი კბილის ექიმს ეუბნება:

– ექიმო, თქვენი დახმარება მჭირდება.

– რაშია საქმე?

– მეჩვენება, რომ ღამის პეპელა ვარ.

– ჩემთან კი არა, ფსიქოლოგთან უნდა მისულიყავით.

– ვიცი.

– აბა, ჩემთან რატომ მოხვედით?

– თქვენთან სინათლე ენთო.

•••

დაქალები საუბრობენ. ერთი ამბობს:

– ისეთი ქმარი მინდა მყავდეს, რომ იყოს ზრდილობიანი, მრავალფეროვანი ინტერესები ჰქონდეს, უყვარდეს ცხოველები, მიყვებოდეს სხვადასხვა საინტერესო ისტორიას, მიამბოს, რა ხდება სამყაროში და საუბარი არასოდეს შემაწყვეტინოს.

– ტელევიზორი იყიდე და ქმარი აღარ დაგჭირდება.

•••

ტელეფონის ზარი:

– ალო, ეს ნივთების სახლში უფასო მიტანის სამსახურია?

– დიახ, რა გნებავთ?

– ლუდის ბარიდან სახლში მიმიტანეთ.

•••

ქალი აღსარებას აბარებს:

– მამაო, ცოდვილი ვარ, ვბილწსიტყვაობდი, ვეწეოდი, ვსვამდი, ვმეძაობდი...

– ვიცი, შვილო ჩემო.

– საიდან, მამაო?

– ფეისბუქში შენი ხელმომწერი ვარ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.







## 9 თებერვლიდან

ნიკო ლომოური

### პაწია მეგობრები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 15 თებერვლიდან

სტეფანი მეიერი

### დაბნელება




„დაბნელება" სტეფანი მეიერის „ბინდის" საგის მესამე წიგნია. საგის ამ ნაწილში ბელა ისევ საფრთხეშია – შურისგებით აღსავსე ვიქტორია ახალშექმნილ, უკონტროლო ვამპირთა არმიით ცდილობს მის განადგურებას.

ეს საკმარისი მიზეზია საიმისოდ, რომ საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის მოძულე მაქციები და კელენების ოჯახი საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი


# ბორჯღალოსნებმა ევროპა ბონუსიანი გამარჯვებით დაიწყეს




### გერმანიამ რუმინეთს მოუგო

**ბელგია-საქართველო 6:31**

**ბელგია:** მიუსი (ა.უილიამსი 41), დაუსეთი, პირონი, ბრებონი, რეინარი, კ.უილიამსი (კოკიუ 73), ბერჟე; სოტო (დებატი 53), დინსტი (დიუბუა 71), დე კლერკი (დე ბაკერი 64), კორადი (ბილი 41), ფერფურტი (ბენუა 53), კუპე, ლესკარბურა, დე მოლდერი

**საქართველო:** კვირიკაშვილი (წიკლაური 78), ფრუიძე, კოშაძე (მალაღურაძე 78), შარიქაძე, თოდუა, ხმალაძე, ბეგაძე (ხუციშვილი 78); თეთრაშვილი (მატარაძე 53), ალხაზაშვილი (ჭყოიძე 77), მელიქიძე (ბეკოშვილი

გაგრძელება მე-9 გვერდზე



### 63 წლის მოდელმა სპორტს ილუსტრეიდისთვის ფოტოები გადაიღო

გასული საუკუნის 80-იანი წლების ტოპმოდელმა, 63 წლის კრისტი ბრინკლიმ გამოცემა სპორტს ილუსტრეიდის სპეციალური გამოშვების გარეკანისთვის საცურაო კოსტიუმში გამოწყობილმა სურათები გადაიღო.

მოდელი ჟურნალის მოწინავე გვერდზე მეოთხედ გამოჩნდა. ბიკინიში გადაღებული მისი სურათები უკვე ამშვენებდა 1979, 1980 და 1981 წლის გამოშვებებს. საერთო ჯამში, ბრინკლი ჟურნალის გვერდებზე ცხრაჯერ მოხვდა (პირველად 1975 წელს).

ამჯერად ამერიკელ მოდელს კომპანიონობას მისი ქალიშვილები, 31 წლის ალექსა და 18 წლის სეილორი უწევდნენ. ფოტოკამერების წინ გოგონებიც საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილნი პოზირებდნენ.

ბრინკლიმ ჟურნალისთვის გადაღებული ახალი ფოტოსურათები ინსტაგრამში საკუთარ აკაუნტში გამოაქვეყნა, რომელსაც 246 ათასი ხელისმომწერი ჰყავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 7. წრის ნაწილი; 8. რამაზ ჩხიკვაძის სცენური სახე; 11. გერმანელი კომპოზიტორი (1685-1759); 12. წყლისპირა მცენარე; 13. ფულის ერთეული გვატემალაში; 17. ბრუნვის სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო; 18. ლადინო ენაზე მოლაპარაკე ებრაელები; 22. ცირკ-ამფითეატრის დღემდე მოღწეული ნანგრევები რომში; 23. ... დოდაშვილი; 24. მოწინააღმდეგის გზის გადაჭრა ველოსპორტში; 25. ზღვის ფრინველი.

**შვეულად:** 1. ბუნების სურათი; 2. რკინის ჟანგი ფხვნილის სახით; 3. განდევნილი; 4. საგამოფენო დაფა; 5. დათვების ოჯახის ცხოველი; 9. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 10. გეგმა, განზრახვა; 14. ღია, მსუბუქი ავტომობილი; 15. კუჭუკანა ჯირკვალი; 16. მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ნაწილი სიტყვისა; 19. თხელი, ხმელი ნამცხვარი; 20. მამაკაცთა აჭარული ცეკვა; 21. გემსაშენი ვერფის ძირითადი ნაწილი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი